

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ციალა ქურციკიძე

ქართული ბიბლია

თბილისი 2010

სარელაქციო ჯგუფი

ნარგიზა გოგუაძე

ნინო მელიქიშვილი

ლამარა ქაჯანია

© ცილა ქურციკიძე.

© ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2010.

ISBN 978-9941-9091-6-0

წინასიტყვა

წინამდებარე გამოცემის მიზანზე თვით ავტორი, ან გარდაცვლილი მკვლევარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქ-ნი ციალა ქურციკიძე საუბრობს წიგნის პირველსავე გვერდზე. კ. კეკელიძის ფუნდამენტური ნაშრომის, „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“, გამოსვლიდან რამდენიმე ათეული წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ქართველმა თუ უცხოელმა მკვლევარებმა თავიანთი გამოკვლევებით გაამდიდრეს ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ყველა დარგი, მათ შორის, ბიბლიოლოგია. არსებულის ახალი მასალით შევსება და მისი პოპულარული სახით მიწოდება მკითხველისათვის დაისახა მიზნად ავტორმა, როგორც აღმოჩნდა, თავის უკანასკნელ ნაშრომში.

ბიბლიოლოგია, გარკვეული თვალსაზრისით, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის გამორჩეული დარგია: პირველი თარგმანები, რომლითაც იწყება ჩვენი მწერლობა, სწორედ ბიბლიური წიგნებისა გაკეთდა. დიდი წინაპრების დანატოვარის შესწავლა ქართული ქრისტიანული კულტურის საწყისებთან მისვლას, აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროსთან

ქართული ეკლესიის უადრესი კონტაქტების კვლევას გულისხმობს. ცალკეული საკითხების შესწავლისას შეუძლებელია, გვერდი აუარო ქართული ეკლესიამონასტრების საზღვარგარეთულ კერებსა და იქ მოღვაწე უზარმაზარი ცოდნისა და გაქანების მქონე ქართველ საეკლესიო მამებს, რომელთა მიერ შესრულებული თარგმანები მხატვრული ღირსებით არ ჩამოუვარდება დედნებს.

ც. ქურციკიძის კონკრეტულ კვლევაზე დაფუძნებული ნაშრომიდან მკითხველი ბევრ საინტერესოს შეიტყობს არა მხოლოდ ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური თვალსაზრისით. ეფთვიმე და გიორგი მთანმიდელების, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწისა და ბევრ მათზე ადრე მოღვაწე, უსახელოდ გარდასულ შესანიშნავ მთარგმნელთა დანატოვარის კვლევა-შესწავლა სწორედ ისეთმა მეცნიერებმა დაიწყეს, რომელთა შესაძლებლობებს შეესაბამებოდა იმ ურთულესი პრობლემების გადაწყვეტა, რაც ბიბლიოლოგიის წინაშე იდგა დასაწყის ეტაპზე: ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი შანიძის მიერ იქნა აღმოჩენილი და ამოკითხული ხანმეტი ტექსტები, რომლებიც ბიბლიური წიგნების პირველი ქართული თარგმანების მეტ-ნაკლები ზომის ფრაგმენტებს ინახავდნენ. ბიბლიური თარგმანების გამოცემის ურთულეს საქმეს თან ახლდა მათი შესწავლა სხვადასხვა კუთხით: მრავალრიცხოვანი ხელნაწერებით მოღწეული ერთი და იმავე ბიბლიური წიგნის თარგმანის თუ თარგმანების რედაქციულ ჯგუფებად დალაგება,

მათი უცხოენოვანი დედნის მიკვლევა, თარგმანის დედანთან მიმართების დადგენა, მისი ენობრივი კუთხით შესწავლა, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ქართული სალიტერატურო ენის შესწავლის თვალსაზრისით... სწორედ ამ სახის კვლევამ, რომელმაც განსაზღვრა ქართული თარგმანების ღირებულება ზოგად-კულტუროლოგიური თვალსაზრისით, მოჰფინა ნათელი ეკლესიის ისტორიის ყველაზე თვალსაჩინო ფურცლებს: უძველესი ნუსხების ანდერძ-მინაწერები გვამცნობენ, თუ რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული ქართველთათვის მძიმე შრომის ფასად აგებული სამწერლობო კერების შენარჩუნება და როგორ იქცა პრაქტიკული მოსაზრებით ნაკარნახევი ლიტერატურული საქმიანობა – ბიბლიური წიგნების ადრეული ქართული თარგმანების რედაქტირება და ზოგჯერ ხელახალი თარგმნა – სხვადასხვა მთარგმნელობითი სკოლების გაჩენის წინაპირობად.

რამდენიმე თაობის რუდუნებითი შრომა დასჭირდა იმას, რაც ასე მოკლედ არის გადმოცემული ციალა ქურციკიძის ნაშრომში. თვითონ ქ-ნმა ციალამ არცთუ მცირე წვლილი შეიტანა ბიბლიოლოგიის დღევანდელი ეტაპის შექმნაში. ეს პოპულარული ნაშრომი, განსაზღვრული მკითხველთა ფართო ფენისათვის, რა თქმა უნდა, ვერ დაიტევდა თანამედროვე ბიბლიოლოგიაში დავანებულ სრულ ცოდნას: მას გზამკვლევის ფუნქცია ეკისრება დიდ სამეცნიერო ლიტერატურამდე მისასვლელად. ქართული

საზოგადოება არ არის განებივრებული ამგვარი ნაშრომებით, რომლებიც მაღალი კვალიფიკაციით, მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და საზოგადოების ფართო წრეებისათვის მისაღები ფორმით არის შესრულებული.

ნინო მელიქიშვილი

ქართული ბიბლია*

კ. კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ I ტომში საგანგებო ნარკვევი ეძღვნება ქართულ ბიბლიას. ეს ნარკვევი დღემდე საუკეთესო მეგზურია ქართველი მკითხველისათვის ბიბლიის უმთავრეს საკითხებში გასარკვევად. მაგრამ, რაკი ამ სახელმძღვანელოს გამოცემიდან 40 წელზე მეტი გავიდა და ქართული ბიბლიის ტექსტების შესწავლისა და გამოცემის საქმეში მნიშვნელოვანი შედეგები გაჩნდა, საჭიროდ მივიჩნიეთ ქართველ მართლმორწმუნე ერს ეს შედეგებიც გავაცნოთ.

* მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა (პირველი გამოცემა იხ. კრებულში: „ნათელი ქრისტიესი, საქართველო“, თბ., 2003, გვ. 610-626).
ახლახანს გამოვიდა ნინო მელიქიშვილის ნიგნი „ბიბლიურ ნიგნთა ძველი ქართული თარგმანები“, თბ., 2009, სადაც ქართული ბიბლიის თარგმანის საკითხები ვრცლადაა წარმოდგენილი. ნიგნი ძირითადად გათვალისწინებულია სახელმძღვანელოდ ბიბლიოლოგიის შემსწავლელ სტუდენტთათვის, წინამდებარე ნაშრომი კი პოპულარული ხასიათისაა და თავის მკითხველად ქართული საზოგადოების უფრო ფართო წრეს ვარაუდობს.

„ესე არიან წყარონი ცხორებისანი, ვიდრემდის მაგრილობელ ექმნებიან წყური-ელთა ამათშინანი სიტყუანი, მხოლოდ ამათ ოდენ შინა ეხარების კეთილად მსახურებისა მოძღურებაჲ. ნუმცა რაჲ ვისგან შეემატების ამათ, ნუცა კუალად გამო-რაჲმე-ეწუების ამათ“.

დიდი სჯულისკანონი

ბიბლია არის საღმრთო წიგნების კრებული. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: ძველი და ახალი აღთქმისაგან.

ძველი აღთქმის წიგნები შექმნილია ებრაულ სამყაროში ძვ. წელთაღრიცხვის XII-II საუკუნეებში. მათში ასახულია ებრაელი ხალხის ისტორია, ღვთისმსახურება, იმდროინდელი ყოფა-ცხოვრება, მათი მსოფლმხედველობა, რელიგიური მრწამსი, მათი ეთიკური და ესთეტიკური შეხედულებები. ახალი აღთქმის წიგნებში კი, რომლებიც ბერძნულ ენაზე დაიწერა ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში, გადმოცემულია მაცხოვრის განკაცება, მის მიერ აღსრულებული სასწაულები, მისი ჯვარცმა, აღდგომა, ამაღლება, მოციქულთა მოღვაწეობა და მათი ეპისტოლეები, ახალი აღთქმის ეკლესიის დაფუძნება, ქრისტეს ჭეშმარიტი მოძღვრება, რომელიც ამავე საუკუნეებში მისი მოციქულების მეშვეობით ვრცელდებოდა.

ძველ აღთქმაში გამოყოფენ კანონიკურ და არაკანონიკურ წიგნებს. კანონიკური წიგნი 39-ია, არაკანონიკური – 11. კანონიკური წიგნებია: 1. შესაქმე (ანუ დაბადება), 2. გამოსლვათა, 3. ლევიტელთა, 4. რიცხვთა, 5. მეორე სჯული, 6. ისო ნავე, 7. მსაჯულთა, 8. რუთი, 9. I მეფეთა, 10. II მეფეთა, 11. III მეფეთა, 12. IV მეფეთა, 13. I ნეშტთა, 14. II ნეშტთა, 15. ეზრა ზორობაბელი, 16. ნეემია (ნეუმი), 17. ესთერი, 18. იობი, 19. ფსალმუნნი, 20. იგავნი სოლომონისნი, 21. ეკლესიასტე, 22. ქება ქებათა, 23. ესაია, 24. იერემია, 25. გოდება იერემიასი, 26. ეზეკიელი, 27. დანიელი, 28-39. მცირე წინასწარმეტყველები: ოსია, იოელი, ამოსი, აბდია, იონა, მიქია, ნაუმი, ამბაკუმი, სოფონია, ანგია, ზაქარია, მალაქია. ძველი ებრაელები ბიბლიის კანონში 22 წიგნს ითვლიან. გადმოცემის თანახმად, მათ იმ მიზნით, რომ ამ წიგნების რაოდენობა ებრაულ ანბანში შემავალი ასოების რაოდენობასთან (22 ასო) გაეთანაბრებინათ, ხელოვნურად გააერთიანეს ზოგიერთი წიგნი ერთ წიგნად: მსაჯულთა და რუთი, I და II მეფეთა, III და IV მეფეთა, I და II ნეშტთა, ეზრა და ნეემია, იერემია და გოდება იერემიასი და თორმეტი მცირე წინასწარმეტყველის სახელით ცნობილი წიგნები.

ამ ფაქტს ძველი მწერლობის ძეგლებში არაერთხელ ეხებიან: „ხოლო ესე საცნაურ იყავნ, ვითარმედ ოცდაორ არიან წიგნნი ძუელისა

აღთქუმისანი, რიცხვსაებრ ებრაელთა ანბნისა ასოთაჲსა, რამეთუ ანბანიცა მათი ოცდაორ ასოჲ არს" (იოანე დამასკელი, გარდამოცემა, A 24, 125v); „არიან უკუე ძუელისა ვიდრემე აღთქუმისა წიგნნი ყოველნი რიცხვთ ოცდაორ, რამეთუ ესოდენნივე არიან, ვითარცა მესმა, ასონიცა ებრაულისა ანბნისანი (დიდი სჯულისკანონი, გვ. 470. იხ. აგრეთვე IV ს-ის ცნობილი საეკლესიო მამის, გრიგოლ ნაზიანზელის, იამბიკო, რომელშიც ძველი აღთქმის წიგნების ასევე 22 წიგნად დაყოფაზეა ლაპარაკი: „ძუელნი ვიდრემე დავსხენ ოცდაორ წიგნად, ებრაელებრთა წერილთაგან მოხუმულნი“ (დიდი სჯულისკანონი, გვ. 321).

ძველი აღთქმის არაკანონიკურ წიგნებად ითვლება: 1. ეზრა ზორობაბელი 1, 2. ტობი, 3. ივდიითი, 4. სოლომონის სიბრძნე, 5. ისო ზირაქის სიბრძნე, 6. ბარუქი, 7. იერემიას ეპისტოლე, 8. ეზრა სუთიელი (სალათიელი), 9. I მაკაბელთა, 10. II მაკაბელთა, 11. III მაკაბელთა.

გარდა კანონიკური და არაკანონიკური წიგნებისა, ძველ აღთქმაში გამოყოფენ აგრეთვე კანონიკური წიგნების არაკანონიკურ დანართებს. ასეთი არაკანონიკური დანართები გვაქვს ძველი აღთქმის შემდეგ კანონიკურ წიგნებში: II ნეშტთაში: XXXVI თავის 23-ე მუხლის მომდევნოდ – მანასეს ლოცვა, წარმოთქმული მისგან ბაბილონელთა

ტყვეობაში ყოფნის დროს; ესთერის წიგნში: I თავის დასაწყისი, III თავის მე-13 მუხლი, IV თავის მე-17 მუხლი, V თავის პირველი მუხლი, VIII თავის მე-12 მუხლი, X თავის მესამე მუხლი წიგნის ბოლომდე (ესთერის წიგნის ეს დანართები თავმოყრილია და XI-XVI თავებადაა შეტანილი ლათინურ ბიბლიაში); იობის წიგნში: XLII თავის ბოლო – მე-17 მუხლი; ფსალმუნთა წიგნში: 151-ე ფსალმუნი; დანიელის წიგნში: III თავის 24-90 მუხლების ტექსტი – სამი ყრმის (ანანია, აზარია და მისაელი) გალობა, XIII თავი – სუსანას თავგადასავალი, XIV თავი – ბელისა და ვეშაპის შესახებ.

ახალი აღთქმა რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: ოთხთავი, საქმე მოციქულთა, კათოლიკე ეპისტოლეები, პავლეს ეპისტოლეები და იოვანეს გამოცხადება (აპოკალიფსისი). მათზე დაწვრილებით ახალი აღთქმის საკითხების განხილვისას გვექნება საუბარი.

ქართულ ენაზე თარგმნილია მთელი ბიბლია, როგორც ძველი აღთქმა თავისი კანონიკური (არაკანონიკური დანართებითურთ) და არაკანონიკური წიგნებით, ისე ახალი აღთქმა.

ბიბლიის თარგმნა ქართულ ენაზე საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლისა და დამკვიდრების ხანას, IV-V სს-ს, ე. ი. ჩვენი მწერლობის

განვითარების უძველეს პერიოდს უკავშირდება¹. პირველ რიგში, ამას ადასტურებს ბიბლიის (როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის) ფრაგმენტების არსებობა ე. წ. ხანმეტ პალიმფსესტებში (ხანმეტობა გრამატიკული მოვლენაა. იგი ახასიათებდა IV-VII სს-ის ქართულ სალიტერატურო ენას და გულისხმობდა ზმნის პირიან ფორმებში II სუბ. და III ობ. პირის ნიშნებად ხ-პრეფიქსის ხმარებას; ხ-პრეფიქსის ხმარებას აგრეთვე ინ-იან ვნებიტებსა და ზედსართავი სახელების შედარებითი ხარისხის ფორმებში), რომლებიც V-VI საუკუნეებით თარიღდება (მათი აღმოჩენა, როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული, შემდგომი შესწავლა კი - აკ. შანიძის, ილ. აბულაძის. ლ. ქაჯაიასა და უცხოელი მეცნიერების - ი. ნ. ბერძოლისა და ი. გიპერტის, სახელებთან).

ძველი აღთქმის წიგნების ხანმეტი ფრაგმენტები მეტ-ნაკლები სიდიდისაა და ამოღებულია შემდეგი წიგნებიდან: იერემია (დაცულია ოქსფორდისა და კემბრიჯის წიგნთსაცავებში), შესაქმე და იგავნი სოლომონისნი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H 999 ხელნაწერში), ესაია (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A 844 ხელნაწერში), ეზრა ზორობაბელის არაკანონიკური წიგნი (ავსტრიის

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 383-384.

ნაც. ბიბლიოთეკის ქართული კოლექციის Gr. №2 ხელნაწერში).

ხანმეტი ტექსტების ფრაგმენტები ძველი ალთქმის წიგნების თანმიმდევრობის დაცვით კი არ არის წარმოდგენილი, არამედ მისი სხვადასხვა ნაწილიდან. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ყველაზე ადრე ძველი ალთქმის წიგნებიდან უნდა გადმოთარგმნილიყო „დავითნი“, რადგან „მეხუთე საუკუნეში ეს წიგნი ქართულად უკვე არსებობდა“ (კ. კეკელიძე), მაშინ სავსებით სწორი იქნება იმ აზრის დაშვება, რომ ქართულ ენაზე ხანმეტურად თარგმნილი ყოფილა მთელი ძველი ალთქმა.

ოშკის ბიბლია (Ath. I ხელნაწერი), როგორც ვიცით, დღეისათვის ძველი ალთქმის წიგნების უძველესი, ასე თუ ისე სრული კრებულია. მაგრამ ოშკის ბიბლიამდე ბიბლიის ხანმეტი კრებულიდან მოყოლებული (რომლის კრებულად არსებობაც უკვე ფაქტად მიგვაჩნია) რომ არსებობდა მისი მსგავსი, მეტ-ნაკლებად სრული სხვა კრებულებიც, ეს აშკარაა (ოშკის ბიბლია ძალზე დაზიანებული და ნაკლულია. როგორც ირკვევა, ნაკლული ყოფილა მისი წყაროც, რადგან „რამდენიმე შემთხვევაში ტექსტის ლაკუნები არქეტიპიდან მომდინარეობს“¹, ე. ი. ოშკის ბიბ-

¹ იხ. ძველი ალთქმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა წიგნში: წიგნნი ძუელისა ალთქუმისანი, შესაქმი-

ლიას საფუძვლად სდებია ჩვენთვის უცნობი და ჩვენამდე არმოდნული ლაკუნებიანი დედანი, რომელსაც, ალბათ, თავის მხრივ, თავისივე მსგავსი სხვა კრებული ედო საფუძვლად, (ულაკუნო დედანიც ხომ იარსებებდა). ზოგიერთი მათგანის კვალი რალაცნაირად მაინც შემოგვრჩა. პირველ რიგში ვგულისხმობთ ჰაემეტურად გადაწერილ ბიბლიას (ჰაემეტური ხანმეტურის ანალოგიით შექმნილი ტერმინია. ყველა პირიან ზმნასთან II სუბ. და III ობ. პირის ნიშნებად, აგრეთვე ინ-იან ვნებითსა და ზედსართავი სახელის შედარებითი ხარისხის ფორმებთან იხმარება „ჰ“. ასეთი ტექსტები VII-VIII საუკუნეებს განეკუთვნება), რომლებიც, ხანმეტური ბიბლიის მსგავსად, აგრეთვე არ შემორჩა ისტორიას. ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების დაკარგვა და განადგურება მხოლოდ ისტორიული ქარტეხილების შედეგი არ არის. ამაში მთავარი როლი უნდა ეთამაშა სალიტერატურო ენაში მომხდარ ცვლილებებს. IX-X საუკუნეებში ხანმეტობისა და ჰაემეტობის საბოლოოდ გავარდნის შემდეგ ასეთი ტექსტები, მათ შორის ბიბლიურიც, მკითხველისათვის გაუგებარი უნდა გამხდარიყო, რის შედეგადაც მათი კითხვა და

საე, გამოსლვათაე, ბაქარ გიგინეიშვილისა და ცოტნე კიკვიძის გამოცემა, 1989. Ath. I-ის (ოშკის ბიბლიის) აღწერილობა ეკუთვნის ნარგიზა გოგუაძეს, გვ. 559.

აღქმა თანდათანობით უფრო გაძნელდა. ასე თანდათანობით არაერთი ამგვარი ტექსტი დაიკარგა, ზოგი მათგანი კი პალიმფსესტებში ხვდებოდა¹. ჩვენდა საბედნიეროდ, ასე დარჩა უძველესი ქართული ხანმეტურად ნაწერი ბიბლიის კვალი V-VI სს-ის პალიმფსესტებშიც.

მართალია, ჰაემეტურად გადანერილი ძველი აღთქმის ტექსტების ფრაგმენტები დღეისთვის მიკვლეული არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, VII-VIII საუკუნეებისათვის ამ ბიბლიის კრებულის არსებობას ჰაემეტი ფორმების გადმონაშთები გვიდასტურებენ. ეს ფორმებიც ძველი აღთქმის ისეთი ნიგნების ტექსტებში გვხვდება, რომლებიც ძველი აღთქმის სხვადასხვა ნაწილს განეკუთვნებიან.

ჰაემეტობის გადმონაშთი ფორმები დადასტურებულია ლევიტელთა ნიგნის ძველ რედაქციაში (ჰშაბათობდეთ, შეჰჭრიდეს, ჰჭამოთ, ჰჭამდეთ), Jer. 7/11 ხელნაწერში ეზრა სუთიელისა და ეზეკიელის ნიგნებში (დაჰწონა, განჰწმინდნე, დაჰჭრე, დაჰჭრიდით, შეჰჭამდენ, განჰვარდი), აგრეთვე ფსალმუნთა ნიგნის X ს-ის Sin. 42 ხელნაწერში (ჰთქუ, ჰძინავნ, შეჰძინეს, შევჰძინო, შეჰძინოს, ჰჯობს, ჰჭამთ, ჰჭამო, გამოჰჩნდე).

¹ IV-VIII საუკუნეების ქართული ხელნაწერების პარადოქსული ბედი, „მნიგნობარი“, თბ., 2000, გვ. 125-135.

თუ ძველი აღთქმის მთლიანი კრებულის არა, მისი პირველი რვანიგნეულის ნაშთი უნდა გვექონდეს IX-X საუკუნეების ასომთავრულით გადაწერილ ფრაგმენტებში, რომლებიც სხვა ხელნაწერების საცავ ფურცლებად ყოფილა გამოყენებული და ასე გადაურჩნენ დროის მსახვრალ ხელს. ამგვარი ფრაგმენტები გამოვლინდა შემდეგ ხელნაწერებში: Sin. 34, A 1119b-ში – გამოსლვათას ფრაგმენტები, Q 208a-ში – შესაქმისა და რუთის ფრაგმენტები და S 104-ში – რიცხვთას ფრაგმენტები (ქართული ბიბლიის ფრაგმენტები დიდი რაოდენობით სომხური ხელნაწერების საცავ ფურცლებადაც ყოფილა გამოყენებული. ისინი ამჟამად მატენადარანის ხელნაწერთა საცავში ინახება).

ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ერთმა ჯგუფმა ილია აბულაძის ხელმძღვანელობით გამოსაცემად მოამზადა ძველი აღთქმის სრული ტექსტი ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით, ამ ჯგუფის მიერ აინერა ძველი აღთქმის წიგნების შემცველი ყველა ხელნაწერი და ფრაგმენტი. მათი რაოდენობა 32-ს აღწევს. აქედან 20 ხელნაწერია, დანარჩენი – ფრაგმენტი. 20 ხელნაწერიდან სამია სრული კრებული: ოშკის, მცხეთური და ბაქარის ბიბლიები (ეს უკანასკნელი ახალი აღთქმის ტექსტებსაც შეიცავს).

რას წარმოადგენენ ეს ხელნაწერები და რა როლი შეასრულეს მათ ქართული ბიბლიის ტექსტის დადგენის საქმეში?

ძველი აღთქმის უძველესი კრებული, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ოშკის ანუ ათონის ბიბლიაა. დაცულია ათონის ივერთა მონასტერში. იგი გადანერილია X საუკუნეში (978 წ.) ათონის ცნობილი მოღვაწის, იოანე თორნიკეს დაკვეთით, ჰყავს სამი გადამწერი: მიქაელი, სტეფანე და გიორგი. ოშკის ბიბლიაც, ისე როგორც თითქმის ყველა სხვა ხელნაწერი ძველი აღთქმისა, ძალზე დაზიანებულია. ოშკის ბიბლიაში დაუზიანებელი თუ დაზიანებული სახით შემდეგი წიგნებია დაცული: დაბადება, გამოსლვათა, ლევიტელთა, მსაჯულთა, რუთი, იობი, ესაია, იერემია, ბარუქი, გოდება იერემიასი, ეპისტოლე იერემიასი, ეზეკიელი, დანიელი, ეზრა I, ეზრა II, ნაუმი (ნეემია), ეზრა სუთიელი, ესთერ-მარდოქე, ივდითი, ტობი, I მეფეთა, II მეფეთა, III მეფეთა, IV მეფეთა, იგავნი, ეკლესიასტე, ქება ქებათა, სიბრძნე სოლომონისი, ისო ზირაქი და მცირე წინასწარმეტყველთა 12 წიგნი.

ოშკის ბიბლიაში თავიდან ყოფილა, მაგრამ ხელნაწერის დაზიანების გამო მთლიანად დაკარგულა რიცხვთა, II სჯულისა და ისო ნავეს წიგნები. მას საერთოდ აკლია ფსალმუნნი და მაკაბელთა სამი წიგნი, ფსალმუნთა დაკავშირებით მიზეზად

სახელდება ის ფაქტი, რომ იგი, როგორც დამოუკიდებელი მოხმარების წიგნი ღვთისმსახურებაში, ცალკე ხელნაწერების სახით უნდა არსებულიყო.

ცთუნება არსებობს სხვა აზრის გამოთქმისაც: რაკი ფსალმუნთა წიგნი ბიბლიაში ტრადიციულად იობის წიგნს მოსდევს, ოშკის ბიბლიაში კი იობის წიგნი ბოლონაკლულია, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფსალმუნთა წიგნი ამ ხელნაწერშიც იობის წიგნს მოსდევდა და იობის წიგნის ბოლო ნაწილთან ერთად დაიკარგა? ამ ვარაუდს ისიც აძლიერებს, რომ ხელნაწერის პირველი ნაწილი, რომელშიც იობის წიგნის ნაკლული ტექსტი წყდება, თავისი პაგინაციით მომდევნო, მეორე ნაწილისაგან დამოუკიდებელია.

რაც შეეხება მაკაბელთა წიგნებს, ისინი, სავარაუდოდ, ძველად ქართულ ენაზე თარგმნილი არც ყოფილა. მიზეზი მათი უთარგმნელობისა შეიძლება ისიც ყოფილიყო, რომ ბიბლია, რომლიდანაც ჩვენი წინაპრები თარგმნიდნენ, ამ წიგნებს უბრალოდ არც შეიცავდა (ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ადგილი გიორგი მთაწმიდელის „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებიდან“: აქ ერთგან ჩამოთვლილია წიგნები, რომლებიც ივირონის მამებმა დიდ ლავრას საჩუქრად გადასცეს. ამ საჩუქრებს შორის დასახელებულია „სხუაჲ წიგნი, რომელსა სწერიან ყოველნივე ძუ-

ელნი წიგნნი და ... მაკაბელთაჲ“ (ძველები, II, გვ. 52). უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წიგნები ბერძნულენოვანი იყო, რადგან ქართულენოვანი რომ ყოფილიყო, დიდ ლავრას ისინი, ალბათ, არ გამოადგებოდა. აქ დასახელებული წიგნი კი, „რომელსა სწერიან ყოველნივე ძუელნი წიგნნი“, უსათუოდ ძველი აღთქმის წიგნების კრებულია, რომელშიც მაკაბელთა წიგნები არ შედიოდა, სხვა მხრივ გაუგებარი იქნებოდა ლავრისათვის მაკაბელთა წიგნების ცალკე გადაცემა. მეორე მხრივ, თუ მაკაბელთა წიგნები ძველად ბიბლიის სხვა წიგნებთან ერთად თარგმნილი არ ყოფილა, ეს ფაქტი არ შეიძლება, არ სცოდნოდა ეფთვიმეს. მაშ რატომ გასცა მან ამ წიგნების ბერძნული ეგზემპლარები საჩუქრად ისე, რომ არ შეუვსო ეს დანაკლისი ათონის ბიბლიას? ამიტომ აქაც იგივე ეჭვი ჩნდება, კერძოდ, რამდენიმე სხვა წიგნისა და ფსალმუნის მსგავსად, მაკაბელთა წიგნების ძველი ტექსტიც ხომ არ დაეკარგა დროთა განმავლობაში ათონის ბიბლიას).

ბიბლიის მეორე სრული კრებული არის ე. წ. მცხეთის ბიბლია (A 51), მას სხვაგვარად საბას ბიბლიასაც ვუწოდებთ. იგი შეუდგენია სულხან-საბა ორბელიანს. კრებული XVII-XVIII სს-ით თარიღდება.

ოშკის ბიბლიიდან მცხეთის ბიბლიამდე 7 საუკუნეა. ამ შუალედში ბიბლიის სხვა კრებული არ

ჩანს, სამაგიეროდ, ჩვენამდე მოაღწია სწორედ ამ შუალედში გადანერილმა ცამეტმა ხელნაწერმა, რომლებიც ძველი აღთქმის წიგნებს სხვადასხვა რაოდენობითა და რედაქციით შეიცავენ და რომლებმაც მოუმზადეს ნიადაგი როგორც მცხეთის, ისე ბაქარის ბიბლიის კრებულებს.

ძველი აღთქმის წიგნთა კრებული Jer. 7/11 XI ს-ის მეორე ნახევრის ხელნაწერია, გადანერილია პალესტინაში, ჯერის მონასტერში. მასში დაცულია დიდი და მცირე წინასწარმეტყველთა წიგნები სრულად, აგრეთვე ეზრას სამივე წიგნი და ნეემია. როგორც კ. კეკელიძე წერს, „ჩვენ ამ შედარებით ახალ ხელნაწერში გვაქვს თარგმანი არაუგვიანეს მეშვიდე საუკუნისა და, შეიძლება, უფრო ადრინდელიც“.¹ ჩვენი აზრით, მასში ჰაემეტი ფორმების არსებობა ამისი დასტურია.

გელათური ბიბლია, რომლის შექმნაც XI ს-ის ბოლო წლებს განეკუთვნება, XII საუკუნის ორი ხელნაწერთაა წარმოდგენილი (A 1108 და Q 1152). იგი ენობრივად გელათის ლიტერატურული სკოლის პროდუქტია. კ. კეკელიძის აზრით, მისი მთარგმნელი შეიძლება იოანე პეტრიწი იყოს. თ. ცქიტიშვილი იოანე პეტრიწს ამ ბიბლიის მხოლოდ რედაქტორად მიიჩნევს, თვლის რა, რომ

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ, 1951, გვ. 390.

გელათური ბიბლია არის უძველესი თარგმანის საფუძვლიანი გადამუშავების შედეგად მიღებული ახალი რედაქცია. სხვა მოსაზრებით, ენობრივ-სტილისტური მონაცემების მიხედვით რედაქტორ-მთარგმნელი არსენ იყალთოელი ან მისი ჯგუფიდან გამოსული დიდოსტატია (დ. მელიქიშვილი). ჩვენ ვფიქრობთ, რომ გელათური ბიბლია ბერძნულიდან შესრულებული ახალი თარგმანია, რომელშიც უძველესი თარგმანი საკონტროლოდაა გამოყენებული.

A 1108 ხელნაწერი შეიცავს შემდეგ ბიბლიურ წიგნებს: ლევიტელთა (თავნაკლული სახით), რიცხვთა, II სჯული, ისო ნავე, მსაჯულნი, რუთი, შემდეგ მოდის დიდი და მცირე წინასწარმეტყველთა წიგნები. Q 1152 ხელნაწერში კი მხოლოდ პირველი რვანოგნეულის ექვსი წიგნია წარმოდგენილი: ლევიტელთა, რიცხვთა, II სჯული, ისო ნავე, მსაჯულნი, რუთი.

გელათური ბიბლია განსაკუთრებით იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ერთვის განმარტებები (კიმენის ტექსტის კიდევები შემონერვილია ამ განმარტებებით), ანუ ე. წ. კატენები. გელათურ ბიბლიას ამიტომ „კატენებიან ბიბლიასაც“ უწოდებენ. კატენებში წარმოდგენილ ქრისტოლოგიურ კომენტარებს ჰყავს ისეთი ავტორები, როგორებიც არიან: კირილე ალექსანდრიელი, თეოდორიტი კვირელი, აპოლინარი, ორიგენი, ევსევი კესარიელი,

სევიროს ანტიოქელი, იოანე ოქროპირი, ოლიმპიოდორე, დიოდორე ტარსელი, ირინეოს ეპისკოპოსი, ისიდორე პელუზელი, ბასილი კესარიელი, დიდვიმოს ალექსანდრიელი. კატენი ზოგჯერ კიმენური ტექსტის ცალკეულ სიტყვას განმარტავს, ზოგჯერ კი რაიმე ეპიზოდს, შეიცავს როგორც ისტორიულ-რეალურ, ისე სიმბოლურ განმარტებებს.

XII საუკუნის ორ ხელნაწერს – A 65-ს (1188-1210 წწ.) და ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის №4 ხელნაწერს (1160 წ.) – დაცული აქვთ სოლომონის ქება ქებათას ორი სხვადასხვა თარგმანი. ვენის ხელნაწერის ტექსტი იმითაა საყურადღებო, რომ მისი მთარგმნელი თხზულებას ღვთისმშობლის ხოტბად აღიქვამს და ქება ქებათას, სხვა თარგმანებისგან განსხვავებით, ამგვარად ასათაურებს: „ქება ქებათაჲ, შესხმაჲ წმიდისა ღმრთისმშობელი-საჲ ბრძნისა სოლომონისგან“ (ეს თარგმანი გამოცემულიცაა – ზ. სარჯველაძე, „მრავალთავი“, X, 1983, გვ. 75-87).

XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება მეორე ხელნაწერი იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკიდან – Jer. 113. იგი შეიცავს მეფეთა წიგნებს, რომელთაც ბოლოში მოსდევს ეკლესიასტეს ტექსტი. ამ ხელნაწერის მეფეთა წიგნები უძველესი რედაქციისაა (უძველესი, ოშკური რედაქციისაა ეკლესიასტეს ტექსტიც). იგი იმით სხვაობს ოშკის ბიბლიაში დაცული მეფეთა წიგნების ტექსტისა-

გან, რომ შემოკლებულ ვერსიას წარმოადგენს და ეს შემოკლება ქართველი რედაქტორების ნახელავი ჩანს; სხვა ენებზე მეფეთა წიგნების მსგავსი რედაქცია ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. ამ ვერსიის ავტორის მიერ ტექსტის შემოკლების მიზანს ასე განმარტავენ: „შექმნას ლაკონიური და სადა, ხალხურ სასაუბრო ენასთან დაახლოებული ტექსტი“.¹

Jer. 113-ის მსგავსად, ბიბლიის წიგნების მოკლე რედაქციაა წარმოდგენილი A 570 (1460 წ.) და H 885 (XVII ს.) ხელნაწერებში. ტექსტის შემოკლებელი აქაც ქართველი უნდა იყოს და ისიც, Jer. 113-ის რედაქტორის მსგავსად, სტილისტურად ლაკონიური ტექსტის შექმნას უნდა ისახავდეს მიზნად, რაც ხორციელდება ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების დაკლების გზით აზრის შეკუმშულად გადმოცემით (სხვაგვარი ცვლილებების შეტანას ბიბლიის რედაქტორები, ალბათ, ვერც დაისახავდნენ მიზნად. დიდი სჯულისკანონი ხომ მკაცრად აფრთხილებს ყველას: „ნუმცა რაჲ ვისგან შეემატების ამათ, ნუცა კუალად გამო-რაჲ-ეწუების ამათ“).

¹ უ. ცინდელიანი, ერთი რედაქციული თავისებურების გამო მეფეთა წიგნებში (მოკლე რედაქცია), „მრავალთავი“, X, 1983, გვ. 67.

A 570 და H 885 ხელნაწერები მხოლოდ შედგენილობით სხვაობენ ერთმანეთისაგან. A 570-ში თავნაკლული III მეფეთას გარდა წარმოდგენილია IV მეფეთა, I ნეშტთა, II ნეშტთა, ესთერი, ტობი, ივდითი, ეზრა ზორობაბელის I და II წიგნები და ნეემია „სიტყუანი ნემუისნი“). H 885 ხელნაწერს, A 570-ისაგან განსხვავებით, აკლია მეფეთა წიგნები და ივდითის წიგნი, სამაგიეროდ, დამატებული აქვს II სჯული, ისო ნავე, მსაჯულნი, რუთი და იობი.

XV-XVI სს-ით თარიღდება A 646 ხელნაწერი, რომელიც, ყველა დანარჩენი ხელნაწერისგან განსხვავებით, მხედრული ხელითაა ნაწერი. ხელნაწერში გვაქვს შემდეგი წიგნები ბიბლიისა: ოთხივე მეფეთა, ნეშტთას ორივე წიგნი, ესთერი, ივდითი, ეზრა ზორობაბელის ორივე წიგნი და ნეემია („სიტყუანი ნემუისნი“).

ბიბლიის ეს ხელნაწერი გამორჩეულია იმ მხრივ, რომ ჯერ ერთი, მასში ბიბლიური ტექსტები უფრო ძველი ვერსიიდან გადმოწერილად მიაჩნიათ, ვიდრე ათონის ბიბლიაში დაცული ვერსიაა, მეორეც, ხელნაწერს კიდევებზე მიწერილი აქვს ძველი აღთქმის აკვილა-სვიმახოსის ავტორობით ცნობილი რედაქციის ვარიანტები.

XVII საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ახალი ეტაპი იწყება ბიბლიის შესწავლის საქმეში. ამ დროიდან ეყრება საფუძველი ქართული ბიბლიის

ნიგნების შეკრების, შესწავლის, აღდგენისა და გამოცემის ისტორიას. ამ საქმიანობის წამოწყებად და ინიციატორად კი გვევლინება სულხან-საბა ორბელიანის მამა – მდივანბეგი ორბელიშვილი.¹ ასე რომ, ვახტანგ VI, სულხან-საბა, არჩილი, ბაქარ და ვახუშტი ბატონიშვილები ამ წამოწყებისა და ინიციატივის გამგრძელებლები და დამაგვირგვინებელნი არიან.

მდივანბეგ ორბელ ორბელიშვილის დაკვეთით გადაწერილმა ბიბლიის სამმა ხელნაწერმა მოაღწია ჩვენამდე. ესენია: H 1207, A 179 და H 885 ხელნაწერები (გადამწერები: იესე და ნათანაელ ბედისმწერლიშვილები). H 1207 ხელნაწერი ბიბლიის პირველი ხუთნიგნეულის ტექსტს შეიცავს. ხელნაწერს ამჩნევია სულხან-საბას რედაქტორული და ფილოლოგიური მუშაობის კვალი. H 1207 ხელნაწერის ტექსტს სულ უმნიშვნელო განსხვავებით მიჰყვება იმავე შედგენილობის, ასევე XVII ს-ის ხელნაწერი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმისა – K 28.

რაც შეეხება A 179 ხელნაწერს (1669 წ.), იგი მხოლოდ ორი წიგნის – შესაქმისა და გამოსლვათას ტექსტებს შეიცავს. ტექსტები გელათური რედაქციისაა და ავსებს გელათური ბიბლიის

¹ ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709-1722), თბ., 1955, გვ. 168.

ხარვეზს, რომელსაც გელათური ხელნაწერების (A 1108 და Q 1152-ის) დაზიანების გამო სწორედ ამ ორი ნიგნის ტექსტი აკლია.¹

და ბოლოს, 1672 წლით თარიღდება ხელნაწერი A 243, რომელიც მხოლოდ II სჯულის ნიგნს შეიცავს. გადამწერია იესე ბედისმწერლიშვილი. ხელნაწერი ვახტანგ VI-ის კუთვნილება ჩანს. ვახტანგ VI-ს იგი გამოუყენებია თავის „სამართლის ნიგნთა კრებულში, როგორც მოსეს სამართლის ბიბლიური წყარო“.²

მცხეთური ბიბლიის კრებული ძირითადად აქ ჩამოთვლილი ხელნაწერების ბაზაზეა შედგენილი, თუმცა მასში გამოყენებული ჩანს ისეთი ხელნაწერი წყაროებიც, რომლებიც, სამწუხაროდ, დღეისათვის უკვე აღარ არსებობს.

მცხეთური ბიბლია გადაწერილია რამდენიმე პირის მიერ, ერთ-ერთი გადამწერი თვითონ სულხან-საბაძაა (იგულისხმება ხელნაწერის მხედრული ხელით ნაწერი ნუსხურად ნაწერ რამდენიმე სხვა ადგილთან ერთად). კრებულში 44 დასახელების ძველი აღთქმის ნიგნია შეტანილი.

¹ ბ. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, შესაქმის, გამოსლვათა და ლევიტელთა ნიგნების ქართული ვერსიები, „მრავალთავი“, I, 1971, გვ. 34-35; 38-40.

² თ. ენუქიძე, ვახტანგ VI-ის „სამართლის ნიგნთა კრებულში“ შესული მოსეს „სამართლის ბიბლიური წყარო“.

ესენია: პირველი რვანიგნეული, მეფეთა ოთხივე ნიგნი, ნეშტთას ორივე ნიგნი, ეზრა ზორობაბელის სამი ნიგნი (ეზრა ზორობაბელის მესამე ნიგნი იგივე ნეემიას ნიგნია), ტობი, ივდითი, ესთერი, იობი, ფსალმუნნი, იგავნი, ეკლესიასტე (ორჯერ), სიბრძნე სოლომონისი, ქება ქებათა, ესაია, იერემია, გოდება იერემიასი, ბარუქი, ეზეკიელი, დანიელი და მცირე წინასწარმეტყველთა 12 ნიგნი. ზოგიერთ ნიგნს ქართულთან ერთად ებრაული სათაურიც აქვს. ასე მაგ.: „ნიგნი დაბადებისა, რომელსა ეწოდების ებრაელთაგან ბერესით“; „ნიგნი გამოსლვათა, რომელსა ებრაელთაგან ეწოდების ვეელლესემოთ“; „ნიგნი მეორე სჯულისა, რომელსა ეწოდების ებრაელებრ ელლეათ-დებაბამ“; ნიგნი მსაჯულთა, რომელსა ებრაულად ეწოდების სოფეტიმ“ და სხვა. ამ სათაურების წყარო 1666 წელს ამსტერდამში დაბეჭდილი სომხური ბიბლიაა (ე. წ. ვოსკანის ბიბლია).¹

აღსანიშნავია მცხეთური ბიბლიის ორი მთავარი თავისებურება: 1. მისი ცალკეული ნაწილების რედაქციული მრავალფეროვნება და 2. ბიბლიის სომხურ-ლათინური ვერსიების ფართო გამოყენება, როგორც კრებულის სტრუქტურის, ისე მისი

¹ მზ. შანიძე, მცხეთის ბიბლიის ნიგნთა დასათაურებისათვის, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XVII, 10, 1956.

ცალკეული წიგნების ტექსტობრივი სწორების მხრივ.

მცხეთური ბიბლიის რედაქციულ მრავალფეროვნებას განაპირობებს ის, რომ სულხან-საბა თავისი ბიბლიის კრებულისათვის რამდენიმე წყაროს იყენებს, რომლებიც რედაქციულად არაერთგვაროვანი არიან: კრებულის უდიდეს ნაწილში გამოყენებულია უძველესი, ოშკის ბიბლიის მიმყოლი რედაქციის ტექსტები; ფსალმუნთა წიგნისათვის საბას უსარგებლია გიორგი ათონელისეული რედაქციის ტექსტით (მცხეთური ბიბლია ბიბლიის პირველი კრებულია, რომელიც ფსალმუნთა წიგნს შეიცავს); სამი წიგნის – იგავნი სოლომონისნი, ისო ზირაქი, სოლომონის სიბრძნე – ტექსტი ლექციონარისა და სხვა სანინასწარმეტყველო-სადღესასწაულო კრებულებიდანაა შემოტანილი, რის გამოც ეს წიგნები სხვადასხვა ზომის ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი ბიბლიის ამ კრებულში. წინასწარმეტყველთა წიგნებისათვის საბას გამოუყენებია გელათური რედაქციის ტექსტი, უფრო ზუსტად, კრებულში პირდაპირაა ჩაკრული ვახტანგ VI-ის სტამბაში 1710-1711 წლებში თვითონ სულხან-საბას რედაქტორობით დაბეჭდილი ამ წიგნის ფურცლები.

მცხეთური ბიბლიის რედაქციული შედგენილობის არაერთგვაროვნებას თავისი მიზეზები ჰქონდა: როგორც ცნობილია, წინასწარმეტყველ-

თა წიგნების უძველესი რედაქციები მხოლოდ ოშკისა და იერუსალიმის ბიბლიებშია დაცული, სულხან-საბას კი იმ დროისათვის არცერთ მათგანზე ხელი არ მიუწვდებოდა (მცხეთურ ბიბლიაში ამავე მიზეზით საერთოდ არ ჩანს ეზრა სუთიელის წიგნიც, რადგან მისი თარგმანიც მხოლოდ ოშკისა და იერუსალიმის ბიბლიებშია დაცული). ასევე, მხოლოდ ოშკის ბიბლია შეიცავს იგავთა წიგნის, ისო ზირაქისა და სოლომონის სიბრძნის უძველეს ქართულ თარგმანებს, ასე რომ ამ სამი წიგნის ხარვეზის შევსებაც სულხან-საბას მხოლოდ ლექციონარის მასალის გამოყენებით თუ შეეძლო. რაც შეეხება ფსალმუნთა წიგნს, მისი ძველი რედაქციები (C და P, მზ. შანიძე) სულხან-საბას დროს, რა თქმა უნდა, არსებობდა, ალბათ, ეს ფაქტი ცნობილიც იყო სულხან-საბასათვის, მაგრამ იმ დროისათვის კანონიკური უფლება გიორგი ათონელისეულ რედაქციას ჰქონდა მოპოვებული და, ეტყობა, სასწორიც მის მხარეს ამიტომ გადაიხარა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სომხური და ლათინური ბიბლიების გავლენა აისახა მცხეთური ბიბლიის როგორც სტრუქტურაზე, ისე ცალკეული ტექსტის შინაარსზეც. წიგნების დასათაურება, ებრაული სათაურების დართვაც, მათი (წიგნების) თანამიმდევრობა, თავებად და მუხლებად დაყოფა, ნეემიას წიგნის ეზრას წიგნად და ტობის წიგ-

ნის ტობიას წიგნად მოხსენიება, ესთერის წიგნის არაკანონიკური ნაწილების (სეპტანტის ტექსტის მიხედვით: I. 1, III. 13, IV. 17, V. 1, VIII. 12, X. 3) ამავე წიგნის XI-XVI თავებად გადანაწილება, იერემიას ეპისტოლის ბარუქის წიგნზე მიერთება, როგორც მისი VI თავისა, აგრეთვე ის, რომ საბას ბიბლიაში, სომხურ-ლათინური ბიბლიების მსგავსად, ფსალმუნთა წიგნის ტექსტს არ ერთვის არც 151-ე ფსალმუნი და არც გალობათა ტექსტი... აშკარად ლათინური ბიბლიის (სომხურის მეშვეობით) გავლენის კვალს ატარებს. რაც შეეხება სომხურ-ლათინური ბიბლიების მიხედვით ტექსტობრივ სწორებებს, ასეთი სწორება (ძირითადად სომხურის მიხედვით) მეტ-ნაკლებად მცხეთური ბიბლიის ყველა წიგნს შეეხება.

აქ შეიძლება ერთ საჭირობოროტო საკითხსაც შევეხოთ. ქართულ საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ სულხან-საბასთვის ბიბლია დაუნვათ. ბიბლიის დანვასთან დაკავშირებული ეს აზრი ემყარება სამ ჩანაწერს, რომლებიც საბას ბიბლიასა და საბას მიერვე „გაჩაღხულ“ „ქილილა და დამანას“ ხელნაწერს შემოუნახავთ:

1. „აქამდი დედა დამენვა, ამონმეთ“ – A 51, 647v (საბა).

2. „ღმერთო, წარწყმიდე, ვინც დაბადების წიგნი დაწვევინა საბას“ – A 51, 344v (ლაზარე გადამწერი).

3. „და ბიბლიის უცხო-უცხო ამბების დაკარგვის ცეცხლისა კვამლი რა გონებას მოეხვიოს, სადღა დარჩება ცნობა, რომ ეს წიგნი (იგულისხმება „ქილილა და დამანა“ – ც. ქურციკიძე) გვარიან და ტკბილად გააკეთოს“ – S 31, გვ. 5 (საბა).

ბიბლიის დაწვისა თუ დაწვევინების მიზეზს ჯერ კიდევ 1897 წელს „ივერიის“ ფურცლებზე შეეხო ა. ნატროშვილი¹, შემდეგ ალ. ხახანაშვილი.² ისინი დაწვის მიზეზად ასახელებენ წინააღმდეგობას ბიბლიის საბანმიდურ, ბერძნულიდან თარგმნილ რედაქციასა და სინურ, ანუ ებრაულიდან თარგმნილ ტექსტს შორის. პავლე ინგოროყვას საბას ბიბლია აუტოდაფექმნილად მიაჩნია ანტიორთოდოქსული ქრისტიანიზმის დაღის გამო. ილია აბულაძემ ამ საკითხზე თავისი აზრი ამგვარად ჩამოაყალიბა: „ეს, ალბათ, იმის გამო მოხდებოდა, რომ საბამ ქართული ბიბლია სომხურიდან გადმოთარგმნილი საძიებლებით შეამკო. საძიებლების გამოყენებასთან ერთად მან, ალბათ, სომხური ბიბლია ქართული ბიბლიის რედაქციის დროს სხვა მხრითაც გამოიყენა. ესეც, რასაკვირველია, გალაშქრებას გააცხოველებდა, მით უმეტეს, რომ ის ბიბლია, რომლის საძიებლე-

¹ „ივერია“, 1897, № 42, 45.

² Хаханов А., Очерки по истории грузинской словесности, ნაკვ. III, გვ. 383-386.

ბიჯ მან გამოიყენა, თავის მხრით, ნარედაქციევი იყო ლათინურის მიხედვით. ლათინურობის სანინაალმდეგო განწყობილება საბას დროს მწვავედ იგრძნობოდა. ხოლო სომხურობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ძველითგანვე სუფევდა ქართული ეკლესიის წიაღში¹.

ცნობილი მკვლევარი ქრისტიანე შარაშიძე თვლის, რომ „ძალადობა მართლა მომხდარა, რომ საბას თავზე დადგომიან და მისივე ხელით ჩაუყრიათ ცეცხლში ათეული წლების ნაჭირნახულევი ბიბლიის „უცხო-უცხო ამბები“² ამის მიზეზი, ქრ. შარაშიძისავე აზრით, საბას მართლმადიდებლობიდან კათოლიკობისკენ გადახრა უნდა ყოფილიყო: „ამ დიდი ადამიანისადმი შურით აღძრული „სამღვდელონი“ მარჯვედ იყენებდნენ მის „კათოლიკობას“ და გააფთრებით დევნიდნენ მას“³.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დასაწვავად გამეტებული ბიბლია საბას მიერ ლათინურის მიხედვით გამართული და ჩასწორებული ბიბლიის ეგზემპლარი უნდა ყოფილიყო. „აქამდე დედა დამენვა“ ნიშნავს, რომ იგი სწორედ ისეთი ყოფილა, როგორც A 51 ხელნაწერია. გულდასაწყვეტი ისაა, რომ ამ

¹ ი. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, შრომები, II, 1976, გვ. 197.

² ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში ..., გვ. 174-176.

³ იქვე, გვ. 172-173.

დრამატული ფაქტის წყალობით ბიბლიის კიდევ ერთი კრებული დაეკარგა შთამომავლობას.

ორბელიანების კარზე ბიბლიის ხელნაწერების შეკრება-გადაწერასა და რედაქტირებაზე ზრუნვას, როგორც ჩანს, თან მოჰყვა მის დაბეჭდვა-გამოცემაზე ფიქრიც. ბაქარ ბატონიშვილის გადმოცემით, თბილისის სტამბის დაარსება სწორედ ბიბლიის დაბეჭდვის განზრახვასთან ყოფილა დაკავშირებული: „ეგრეთვე ნეტარხსენებულმან მამამან ჩემმან, მეფემან ვახტანგ ინება სამეფოსა თვისსა ქალაქსა ტფილისისასა ნიგნისა ამის აღბეჭდვად, და მოიყვანა მესტამბე ვლახეთით და გააკეთა სტამბა, იმუშაკა და დაშვრა და განაწყო ყოველივე ნივთნი და მცირე რაიმე საწინასწარმეტყველო ბეჭდა „და არცაღა მას სცა ჟამმან და დრომან ამომან და ქცევადმან და დაუშთა მასცა ეგეთვე შეუსრულებელად“ (ბაქარის ბიბლია, წინასიტყვაობა). ამ სტამბაში 1709 წელს დაბეჭდილია ფსალმუნისა და ახალი აღთქმის ტექსტები, ხოლო 1710-1711 წლებში – წინასწარმეტყველთა წიგნები. როგორც უკვე ითქვა, წინასწარმეტყველთა წიგნები ამ გამოცემაში გელათის ბიბლიიდან (A 1108 ხელნაწერიდან) არის გადაბეჭდილი, ბიბლიის და-

ნარჩენი ნაწილის დაუბეჭდველობა ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარებით იხსნება.¹

ბიბლიის ყველაზე სრული კრებული, რომელიც ნაბეჭდი სახით არსებობს, ე. წ. მოსკოვური ბიბლიაა. მას ბაქარის ბიბლიასაც ვუწოდებთ. მოსკოვური ბიბლია დაიბეჭდა ქ. მოსკოვში 1743 წელს. იგი შეიცავს ძველი აღთქმის ყველა წიგნს და მთელ ახალ აღთქმას. ამ ბიბლიის შედგენისა და გამოცემის ისტორია მოთხრობილია მისი გამომცემლების – ბაქარ ბატონიშვილის წინასიტყვაობასა და ვახუშტი ბატონიშვილის ანდერძში.

ამ წინასიტყვაობა-ანდერძის მიხედვით ისტორია ასეთია:

თბილისის პარალელურად იმ დროისათვის მოსკოვში მცხოვრები არჩილ მეფეც შესდგომია ქართული ბიბლიის შეკრებისა და გამოცემის საქმეს (1704-1713 წწ.), რადგან იმუამად ჩვენს ქვეყანაში ბიბლიის სრული კრებული არ არსებობდა. იყო მხოლოდ ცალკეული წიგნების შემცველი კრებულები, ზოგი წიგნი კი, მაგალითად, ისო ზირაქისა და მაკაბელთა წიგნები საერთოდ დაკარგული იყო. რომელი წიგნებიც შემოგვრჩენოდა, მათაც თავებად და მუხლებად დაყოფაც კი არ ჰქონდათ და გადამწერთაგან შებღალულ-შერყვნილი სახით

¹ ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში ... გვ.174-176.

არსებობდნენ. არჩილმა ეს წიგნები შეკრიბა და შეაწყო, ხოლო ნაკლული ნაწილი „ძალისაებრ თვისისა“ თვითონ თარგმნა.

არჩილმა ვახტანგ VI-ს სთხოვა დაბადების წიგნი და ვახტანგმაც, რაც მოეპოვებოდა, გაუგზავნა, ზოგიც არჩილს თვითონ ჰქონდა. მაშინ არჩილმა გადაწყვიტა ბიბლიის ქართული ტექსტის რუსულ დაბადებასთან შედარება. მან მხოლოდ თავების მიხედვით გამართა ქართული ტექსტი, რადგან დამუხლვა მის ხელთ არსებულ რუსულ ბიბლიასაც არ ჰქონდა (იგულისხმება 1663 წელს გამოცემული რუსული ბიბლია). მაკაბელი და ზირაქი თვითონ თარგმნა და დიდი შრომაც გასწია. ამ შედარება-თარგმნაზე მუშაობის დროს არჩილს ბევრი გაჭირვება გადაუტანია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩვენი წიგნები დროისა და გადამწერთა წყალობით შერყვნილი იყო, მეორეც, რუსული ბიბლია, იმის გამო, რომ ბერძნულიდან არ იყო თარგმნილი, სწორი არ იყო.

რაკი ეს ფაქტი ცნობილი იყო, რუსეთში რუსეთის მეფის, პეტრე ალექსის ძის ბრძანებით ხელი მოჰკიდეს რუსული ბიბლიის გამართვას ბერძენთა, ებრაელთა, ასურთა, ლათინთა და ბულგართა ბიბლიების მიხედვით (ლაპარაკია რუსული ბიბლიის გამართვა-გადამუშავების მიზნით პეტრე პირველის მიერ თეოდორე ლოპატინსკის ხელმძღვანელობით საგანგებო კომისიის შექმნაზე).

ბაქარსა და ვახუშტის მეფე არჩილის ნამუშავევი დაბადების ტექსტი შეუდარებიათ რუსული ბიბლიის სწორედ ამ ახალ ვერსიასთან (ბაქარსა და ვახუშტის, როგორც ჩანს, ლოპატინსკის კომისიის მიერ ჩასწორებული რუსული ბიბლიის ტექსტი ხელთ ჰქონდათ ხელნაწერის სახით, რადგან, როგორც ცნობილია, ეს ნასწორები ტექსტი მხოლოდ 1751 წელს გამოქვეყნდა).

ვახუშტი ამ ფაქტს ასე აღწერს: რაკი არჩილს ქართული ტექსტი პირველი დაბადების მიხედვით (რუსული ბიბლიის 1663 წლის გამოცემა - ც. ქ.) ჰქონდა გამართული, თანაც დამუხლვის გარეშე, მეფე ბაქარის, არქიმანდრიტისა და სხვათა თხოვნით (საბეჭდველის გამმართველის, ვინმე ანდრია იოვანის ძის ხელშეწყობით) ვახუშტის დაუწყია ქართული ბიბლიის გამოცემაზე მუშაობა. „შევასრულეთ, - წერს ვახუშტი, - შესაქმე, გამოსლვათა, ლევიტელთა, რიცხუთა, მეორე სჯული, ისო ნავე, მსაჯული, რუთ, ოთხი მეფე, ორი ნეშტი, სამი ეზდრა, ნემი, ტობია, ივდით, ესთერ, იობ, იგავი, ეკლესიასტე, ქება ქებათა, სიბრძნე, ისო ზირაქი, სამი მაკაბელი. ხოლო ფსალმუნი და წინასწარმეტყველებანი და ახალნი აღთქმანი მის მეფის ბრძანებით განმართული და დაბეჭდულნი იყვნეს მისსავე მოღებულს საბეჭდავსა შინა ტფილისისა“.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ გაიმართა ქართული ტექსტი, „ხოლო ჩუენ ესე ვქმენით – აგრძელებს ვახუშტი – და რომელნიცა აკლდეს, მიუმატეთ, ვითარცა განმართულ იყო რუსთაგან თავ-თავად და მუხლ-მუხლად. და სიტყუანი შეცვლილნი, რომელნი ქართულსა ენასა ზედა უმჯობე იყო, ეგრეთ დაუტევეთ, და ნადირთა, მწეცთა, თევზთა, ხეთა სახელნი, რომელიცა ვერ ვსცანიით, ანუ საკუთარნი, ეგრეთვე დავსხენით, სხვანი ყოველნივე განვმართეთ და შევასრულეთ, ვითარცა ძალ-გუედვა“.

ვახუშტის ანდერძი იმასაც გვამცნობს, რომ ბიბლიის ტექსტი დასაბეჭდად გადაუციათ დაბა სვესენსკას (Всесвятское) საბეჭდავში (სტამბაში) წინამძღვრისა და მღვდელმონაზონისათვის, ქრისტეფორე გურამიშვილისათვის, და მდივნის, მელქისედეკ კავკასიძისათვის, რომელიც ამ წიგნის ბეჭდვას განაგებდა. წიგნი დაბეჭდილა მეფე ბაქარის ხარჯით, დასრულებულა ჩღმგ (1743) წლის 7 დეკემბერს.

საქართველოში ბაქარის ბიბლიის სულ რამდენიმე ცალმა ჩამოაღწია. ჩვენში დღეისათვის ამ წიგნის მხოლოდ 4-5 ეგზემპლარი არსებობს, ამიტომ თითოეულ მათგანს ხელნაწერის მნიშვნელობა აქვს.

ბაქარის ბიბლიის შედგენისა და გამოცემის ამ ისტორიის გათვალისწინებით, აგრეთვე ტექსტების

შესწავლის საფუძველზე, რაც ხელნაწერთა ინსტიტუტში განხორციელდა, მანამდე არასწორად გაგებულ ორ საკითხს მოეფინა ნათელი. ჯერ ერთი, გაირკვა, რომ ვახტანგ VI-ს არჩილისთვის გაუგზავნია არა ხელნაწერები ქართული ბიბლიისა, არამედ თბილისის სტამბაში დაბეჭდილი ფსალმუნის, ახალი აღთქმისა და წინასწარმეტყველთა წიგნები (სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ხელნაწერებს – ეროვნულ განძს, რომლის მნიშვნელობაც ქვეყნისათვის ვახტანგ VI-მ სხვებზე კარგად უწყოდა, იგი სამშობლოდან არ გაიტანდა, თვით არჩილისა და მისი საქმიანობისადმი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად). მართლაც, ფსალმუნი, წინასწარმეტყველთა წიგნები და ახალი აღთქმა ბაქარის ბიბლიაში სწორედ ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი ტექსტებიდანაა გადაბეჭდილი.

შემდეგ, ბაქარისა და ვახუშტის წინასიტყვაობა-ანდერძის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს არჩილს რუსულიდან მხოლოდ ისო ზირაქისა და მაკაბელთა წიგნები ჰქონდა თარგმნილი. დღემდე მეცნიერებაშიც ეს აზრი იყო დამკვიდრებული. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა ბაქარის ბიბლიის ცალკეული წიგნების შესწავლისა და რუსულ წყაროსთან მათი შედარების შედეგად ცხადყვეს, რომ არჩილს რუსულიდან უთარგმნია არა ოთხი, არამედ ოცდაორი წიგნი (მეფეთა ოთხივე წიგნი, ნეშტთა ორივე წიგნი, ეზრას სამივე

წიგნი, ნეემია, ტობია, ივდიითი, ესთერი, იობი, იგავნი, ეკლესიასტე, ქება ქებათა, სიბრძნე სოლომონისი, ისო ზირაქი, სამივე მაკაბელთა).

წინააღმდეგობას ამ დასკვნასა და ბაქარისა და ვახუშტის წინასიტყვაობა-ანდერძში დაცულ ცნობას შორის ის ახსნა ეძებნება, რომ ისო ზირაქი და მაკაბელთა წიგნები ბაქარსა და ვახუშტის იმ წიგნების ნიმუშად უნდა ჰქონდეთ დასახელებული, რომელთა დედნებიც მათ ხელთ არ ჰქონდათ და თვლიდნენ, რომ „დაკარგულ და დაკლებულ იყო“ და იმდროინდელ საქართველოში „არღარა იპოვებოდა“.

სხვა წიგნებს რომ თავი დავანებოთ, ბაქარის ბიბლიაში თუ არა არჩილის თარგმანით, სხვაგვარად ვერ მოხვდებოდნენ იგავთა, სოლომონის სიბრძნის და ეზრა სუთიელის წიგნები, რადგან, ისო ზირაქისა და მაკაბელთა წიგნების მსგავსად, არც ამ სამი წიგნის ტექსტი არსებობდა იმდროინდელ საქართველოში. მათი (ამ სამი წიგნის) შემცველი ოშკის ბიბლია შორეულ ათონზე ინახებოდა (ეზრა სუთიელის წიგნის მეორე ვარიანტი იერუსალიმის ბიბლიაში იყო დაცული) და როგორც სულხან-საბას საქართველოდან, ისე არჩილ მეფეს მოსკოვიდან მასზე ხელი არ მიუწვდებოდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო აღმოჩნდა აგრეთვე ბიბლიის წიგნების შემცველი

XVIII ს-ის ოთხი ხელნაწერი, რომლებიც მოსკოვშია გადაწერილი (ამჟამად ისინი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კუთვნილებაა). ესენია: A 529 (1735-1736 წწ.), H 19 (1753 წ.), S 1349 (XVIII ს.), A 1418 (XVIII-XIX სს.).

პირველ ხელნაწერში (A 529) დაცულია ისო ზირაქისა და მაკაბელთა სამივე წიგნი; მეორე ხელნაწერი (H 19) მხოლოდ ისო ზირაქის წიგნს შეიცავს, მესამე (S 1349) – ისო ზირაქის წიგნთან ერთად ეკლესიასტესა და სოლომონის სიბრძნის წიგნებს, მეოთხე ხელნაწერი კი (A 1418) – მხოლოდ ეკლესიასტესა და სოლომონის სიბრძნის წიგნებს.

ისო ზირაქის ტექსტი სამსავე ხელნაწერში და ეკლესიასტესა და სოლომონის სიბრძნის ტექსტები ორსავე ხელნაწერში ტექსტობრივად თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებენ ერთმანეთს. როგორც ისო ზირაქისა და მაკაბელთა წიგნები, ისე ეკლესიასტესა და სოლომონის სიბრძნის წიგნებიც სლავური ბიბლიის 1663 წლის გამოცემის ტექსტს გაჰყვნენ და მისგან თარგმნის კვალიც დაადასტურეს. ჩვენი აზრით, საექვო აღარ არის, რომ ამ ოთხ ხელნაწერში წარმოდგენილი ეს წიგნები (ისო ზირაქი, მაკაბელთა სამი წიგნი, ეკლესიასტე და სოლომონის სიბრძნე), რომელთა ტექსტებიც ბაქარის ბიბლიის შესაბამისი ტექსტების ვარიანტებია, უსათუოდ არჩილის თარგმანებია (ვახუშტის

მიერ ჯერ არ ჩასწორებული). აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ არჩილის თარგმანებში ისო ზირაქისა და მაკაბელთა წიგნებთან ერთად ეკლესიასტე და სოლომონის სიბრძნეც აღმოჩნდა.

ამგვარად, ბაქარის ბიბლიაში სამი ძირითადი წყარო დაფიქსირდა: მეფეთა წიგნებიდან მოკიდებული წინასწარმეტყველთა წიგნებამდე ყველა ბიბლიური თხზულება არჩილს თვითონ უთარგმნია, ფსალმუნისა და წინასწარმეტყველთა წიგნების თბილისის გამოცემა ახალ აღთქმასთან ერთად ვახტანგ VI-ს გაუგზავნია მისთვის, ვახუშტის ნათქვამი კი, „ხოლო ზოგნი თვთ აქუნდეს“, უნდა ეხებოდეს ბიბლიის პირველ რვაწიგნულს.

„ძველი აღთქმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“, რომელიც „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანის“ პირველ ნაკვეთს ერთვის, (იხ. დასახ. წიგნი, გვ. 559-639), ფსალმუნის ხელნაწერების აღწერილობა შეტანილი არ არის. ალბათ, იმის გამო, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ფსალმუნი დამოუკიდებელი მოხმარების წიგნი იყო ღვთისმსახურებაში, თუმცა მისი შეუტანლობა ხსენებულ „აღწერილობაში“ ნამდვილად ამ „აღწერილობის“ ხარვეზია. ხარვეზია აგრეთვე ჩვენი სტატიისაც „ქართული ბიბლია“, რომელიც დაიბეჭდა კრებულში „ნათელი ქრისტესი, საქართველო“ (წიგნი I, 2003, გვ. 610-626), სადაც აგრეთვე არაფერია ნათქვამი ცალკე არსებულ ფსალმუნის ხელნაწერებზე.

ფსალმუნთა წიგნს გიორგი მცირე ამგვარად ახასიათებს: „სამკაული და გვრგვნი ყოველთა წიგნთაჲ“ (ძეგლები, II. გვ. 148). ამ შეფასებაში, ცხადია, იგულისხმება „ფსალმუნთა წიგნის“ როგორც მაღალი მხატვრული მხარე, ისე მისი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკული დანიშნულება.

თვლიან, რომ ფსალმუნთა წიგნი სწორედ ლიტურგიკული დანიშნულების გამო ყველაზე ადრე უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე თარგმნილი¹ და სწორედ ამავე დანიშნულების გამო მისი ხელნაწერებიც მრავლად უნდა არსებულებოდა. ეს მართლაც ასეა. ფსალმუნის შემცველი ხელნაწერები დიდი რაოდენობით არსებობს ქართულ ენაზე. ფსალმუნის მეცნიერული გამოცემა, რომელიც მზ. შანიძეს ეკუთვნის, ემყარება ამ წიგნის უძველეს ხელნაწერებს.² მკვლევარი გამოყოფს სამ რედაქციას: ორს უძველესს (C და 9 რედაქციები), მესა-

¹ კ. კეკელიძე, „ეტიუდები“, III, გვ. 120. ა. შანიძე (ფსალმუნნი, მ. შანიძის გამოცემა, წინასიტყვაობა ა. შანიძის, გვ. 09). მ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, II, თბ., 1979, გვ. 6-7.

² ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მ. შანიძემ, I, ტექსტი, თბ., 1960.

მეს – გიორგი მთაწმიდელის მიერ გადამუშავებული (ქ რედაქცია).¹

აქ ჩამოვთვლით ფსალმუნის იმ ხელნაწერებს, რომლებიც აღწერილი და გამოყენებულია მზ. შანიძის გამოცემაში. ესენია: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A 38 ხელნაწერი, ე. წ. „მცხეთის დავითნი“, 904 წელს გადაწერილი (C რედაქცია), Sin. 42 (X ს.) შეიცავს ჰაემეტ ფორმებს, რაც მიაჩნებოდა, რომ იგი ამ ტექსტის ჰაემეტური ვარიანტიდან უნდა იყოს გადმონერული, Sin. 29 (X ს.), Sin. 22 (X ს.), გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერი (ალ. ცაგარლის აღწერილობის მიხედვით Sin. 2, X ს.),² H 1798 (X-XI სს.) – ხუთივე ლ რედაქციისა. Jer. 161 (XIII ს.), Jer. 133 (XIII-XIV სს.), პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის B³ ხელნაწერი (XIII-XIV სს.)⁴ – სამივე ლ რედაქციისა.

¹ თუმცა დღეისათვის მ. შანიძე თვლის, რომ C და ლ რედაქციები ერთი რედაქციის ორი ვარიანტი უფროა და ამიტომ ბიბლიის მორიგი გამოცემისათვის მათ ერთ რედაქციად გაერთიანებას ფიქრობს.

² ქართული ხელნაწერი ნიგნი, შემდგენლები: ლამარა ქაჯაია და ლელა შათირიშვილი, თბ., 2006, გვ. 14.

³ ალ. ცაგარელი ამ ხელნაწერს VIII-IX საუკუნეებით ათარილებს (A. Цагарели, Сведения, I, გვ. 54).

⁴ ალ. ცაგარელს ეს ხელნაწერი XI-XII საუკუნეებისად მიუჩნევია (A. Цагарели, Сведения, I, გვ. 59).

ფსალმუნის ხელნაწერთაგან გარეგნული გაფორმებით გამოირჩევა H 1665 (XIII-XVII სს.), გიორგი მთაწმიდელისეული რედაქციის ტექსტის შემცველი ხელნაწერი. იგი შემკულია 132 მინიატურით, რომლებიც ასახავენ სცენებს როგორც ფსალმუნიდან, ისე ახალი აღთქმიდანაც.¹ პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის B₁ ხელნაწერი კი იმითაცაა აღსანიშნავი, რომ ერთვის გიორგი მთაწმიდელის მრავალმხრივ საინტერესო ანდერძი: „ანდერძი გიორგი მთაწმიდელისაჲ, თარგმანისაჲ“. გიორგი მთაწმიდელი ამ „ანდერძში“ მოგვითხრობს მის მიერ „დავითნის“ ახალი რედაქციის შექმნის ისტორიას. „ანდერძი“ გამოცემულია რამდენჯერმე. მთლიანად მოგვეყავს წინამდებარე ნაშრომშიც:

„წმიდანო და ღმერთშემოსილნო მამანო და ძმანო, რომელნიცა წმიდათა ამათ „დავითთა“ მიემთხვვნეთ, ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ფრიადითა იძულებითა წმიდათა და სულიერთა მამათა ჩუენთაჲთა ვთარგმნენ ესე „დავითნი“ ახ-

¹ „საქართველოს სამოთხე“, გვ. 487-488; მოსე ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, გვ. 107-111; საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, IV, 1950, გვ. 150-151; მ. შანიძე, ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები... გვ. 027. წინამდებარე ნაშრომში „ანდერძი“ გადმოიბეჭდა მ. შანიძის დასახელებული წიგნიდან.

ლად ბერძულისაგან ქართულად მე, გლახაკმან გიორგი, უღირსმან ხუცესმონაზონმან, ფრიადი-თა ჭირითა და რუდუნებითა, თვთ იცის ღმერთ-მან, მრავალთა ბერძულთა დედათა და „დავითის“ თარგმანთაგან ფრიადითა გამონულილვითა და გამოძიებითა. ან გევედრები ყოველთა, რომელნი-ცა მიემთხვევნეთ ნშიდათა ამათ „დავითთა“, რაჲთა ჩუენთვს ლოცვაჲ ჰყოთ. და ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრეთვე შეუცვლელად დასწერდით: ნუცა ჩაურთავთ, ნუცა დააკლებთ. ჩუენ, რომელი ჯერ-იყო, ჩაგვრთავს და რომელი ჯერ-იყო, დაგვკლია, ვითა ჩუენსა ენასა მოჰვიდოდა და წესი საქმისაჲ ეძიებდა. ნუცა დონ-{ან}სა დააკლებთ და ნუცა რამეთუსა. და ესე ეს{რ}ე ეგების გონიერისაგან გულისწმისყოფად, რომელ იგი დონანი ჩუენცა ვი-ცოდით, და თუმცა რას ავნებდა {გი}ნა იგი, გინა სხუაჲ რომელიცა სიტყუაჲ, არა დაუტეობდით, არცა აღმოვჰვოცდით. ხოლო უკუეთუ ვინმე ამას, ჩუენსა შრომით და რუდუნებით ქმნილსა და ყოვ-ლითა ჭეშმარიტებითა სავსესა ნაშრომსა დაწერ-ილსა, არა ჯერ-იყოს და კე იცოდის, ანუ ღარ, გინა ოტი, ანუ თუ ღმერთი და უფალი, გინათუ რიტორიცა იყოს, ანუ ფილასოფოსი, მაშა ჩუენსა ნაშრომსა ზედა ნუ ბრძნობს. ახლად, ვითა გინდა, თარგმნეს სხუანი „დავითნი“, არას ვზრუნავ. და თუ ქართულთა „დავითთა“ დაინერდეს, ჯუარი აქუს და კურთხევაჲ! რომელმან კულა ჩუენი „დავითი“

ზეპირით იძალოს, გინა ესე მრავლითა სისხლითა თარგმნილი წინა დაიდვას და „დავითსა“ რყუნად და ზე-ქუე ქცევად დაუნყოს, საშჯელი მოჰჳადენ ღმერთმან ღლესა მას საშინელსა საშჯელისასა! და ვინ ამა ჩუენტა „დავითთა“ დასწერდეს და ესე ჩემი დაწერილი არა დაწეროს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი! უკუეთუ მე, გლახაკმან, ესოდენი ჭირი ვნახე და ესე [უსასყიდლომ მარგალიტი არა დავი[ცონე] აღწერად განმანათლებელად მკითხველთა და მსმენელთა, მას ორთა სიტყუათა დაწერად რად ზარ-აც?

და წმიდასა მამასა ეფთჳმის ნუვინ იმონმებს! წმიდამან მამა[მან] „დავითი“ თარგმნა და მწერალსა ვისმე მისცა დაწერად, და მან განრყუნა და უჭმარ-ყო. მიერთგან სხუამ არლარა თარგმნა, არამედ „ქართულნი დავითნი“ თანა-ესხნიან და სადაცა სიტყუამ ეჭმარებოდის, მისგან ინამის.

და ამათისა ჭეშმარიტებისა მოწამედ და სიმართლისა მყავს ყოველი საბერძნეთი და ყოველნი ბერძულნი „დავითნი“, და ვის არა ჰრწმენეს, შეაწამენ!“

„ანდერძში“ განსაკუთრებით საინტერესოა ცნობა ეფთჳიმეს მიერ ფსალმუნის თარგმნის შესახებ; ეფთჳიმეს თავისი თარგმანი გადასაწერად მიუცია ვილაც გადამწერისათვის, მაგრამ მას ტექსტი შეურყვნია და გამოსაყენებლად უვარგისი გაუხდია, ეფთჳიმეს კი ამის შემდეგ

ფსალმუნი აღარ უთარგმნია. ფსალმუნის ტექსტი თუ დასჭირდებოდა, გიორგი მთანმიდელის თქმით, ეფთვიმეს „ქართულნი დავითნი“ თან ჰქონდა და საჭირო სიტყვას მისგან იმონებდაო.

სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის საკრებულო, როგორც ჩანს, მდიდარი იყო ფსალმუნის ხელნაწერებით. მ.შანიძის გამოცემაში 9 რედაქციის 5 ხელნაწერიდან 4 სინურია. სინას მთის მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ხელნაწერთა ქართულ კოლექციაში ფსალმუნის კიდევ 9 ხელნაწერი დადასტურდა სრული და ფრაგმენტების სახით, როგორც ძველი (9), ისე გიორგი მთანმიდელის რედაქციისა (9), ესენია: Sin. Geo. №15 (X ს.), №21 (X ს.), №44 (X-XI სს.), №82 (XI-XII სს.), №85 (XII-XIII სს.), №2p (XII-XIII სს.), №18p (XII-XIII სს.), №19p (XIII ს.), №20p (XIII ს.).¹

როგორც მ. შანიძე წერს, ქართული ფსალმუნის უძველეს ხელნაწერთაგან წიგნის სათაური ტექსტის დასაწყისში არსად გვხვდება. მაგრამ ამ წიგნის სახელწოდება არაერთგზის არის ნახსენები ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებ-

¹ სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილი ქართული ხელნაწერების აღწერილობა, შეადგინეს ზაზა ალექსიძემ, მიხეილ ქავთარიამ, მზექალა შანიძემ და ლილი ხევსურიანმა, საბერძნეთის კულტურის სამინისტრო, სინური კვლევის ფონდი, ათენი, 2005.

ში, რაც საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ, რომ ამ წიგნს ძველადვე რამდენიმე სახელი რქმევია: „დავითი“ ან „დავითნი“, „წიგნი ფსალმუნთაჲ“ ან „ფსალმუნი“ და „საფსალმუნე“. მ. შანიძის აზრითვე, „დავითი“ ქართულში ბერძნული მთარგმნელობითი ტრადიციის მიერ არის შემოტანილი, „წიგნი ფსალმუნთაჲც“ აგრეთვე ბერძნულ წყაროს გულისხმობს (Βίβλος ψαλμῶν), „საფსალმუნე“ კი ტოლფარდი ტერმინია ბერძნული Ψαλτήριον-ისა და სომხური Սաղմոսարամ.¹

ფსალმუნთა წიგნი, როგორც ცნობილია, 150 ფსალმუნისაგან შედგება (იხ. „შუშანიკის წამებიდან“ ცნობილი ფრაზა: შუშანიკმა „ჴელთა აღიჴუნა „დავითნი“ და მცირეთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი (ასორმოდაათი) იგი ფსალმუნნი დაისწავლნა“).² არსებობს 151-ე ფსალმუნიც, რომელიც აპოკრიფულად ითვლება. 151-ე ფსალმუნს შეიცავს ფსალმუნის ხელნაწერების მხოლოდ ერთი ნაწილი: A 38 და Sin. 42.³

¹ მ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1979, გვ. 17-19.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), თბ., 1963, გვ. 23.

³ როდის დაურთეს ფსალმუნთა წიგნს 151-ე ფსალმუნი, ცნობილი არ არის. ბიბლიის ებრაული კანონი ამ ფსალმუნს არ იცნობს, თუმცა ყუმრანის გამოქვაბულებში აღმოჩენილ ხელნაწერებში ებრაულ ენაზე

ქართულ ენაზე, როგორც უკვე აღინიშნა, თარგმნილია აგრეთვე ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნებიც. მათი რაოდენობა თერთმეტია.

არაკანონიკური წიგნები ებრაულ ბიბლიაში არ ჩანდა, გარდა ამისა, ებრაულ ენაზე მათი არსებობის შესახებ არაერთარ ცნობას არ იძლეოდა I საუკუნის ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსიც, რომელსაც მოცემული აქვს სრული სია ძველი აღთქმის წიგნებისა ებრაულ ენაზე. მეორე მხრივ, არაკანონიკური წიგნების (კანონიკური წიგნების არაკანონიკური დანართებისაც) არსებობა ბერძნული სეპტუაგინტის შედგენილობაში ფაქტი იყო. ამავე დროს, არაკანონიკური წიგნების უმეტესობის მიმართ (I ეზრა, ბარუქი. იერემიას ეპისტოლე, ზირაქის სიბრძნე, 151-ე ფსალმუნი) მკვლევრები უეჭველ დასკვნებს აკეთებდნენ მათი ებრაული წარმოშობის შესახებ (ეს დასკვნები ზოგიერთი ტექსტის მიმართ კიდევაც გაამართლა ყუმრანის ცნობილმა აღმოჩენებმა. ყუმრანში ძველი აღთქმის არაკანონიკურ წიგნთაგან ნაპოვნია ტობის წიგნის არამეული და ებრაული ფრაგმენტე-

151-ე ფსალმუნი დასტურდება (Амусин И. Д., Тексты Кумрана, вып. I, перевод с древнееврейского и арамейского, введение и комментарий И. Д. Амусина, М., 1971, гл. 128-130).

ბი, ზირაქის სიბრძნის რამდენიმე ნაწყვეტი და ფსალმუნთა წიგნის 151-ე ფსალმუნი ებრაულად, აგრეთვე იერემიას ეპისტოლის ბერძნული თარგმანის ფრაგმენტი).

აღსანიშნავია ისიც, რომ არაკანონიკური წიგნები გამიჯნულია საკუთრივ აპოკრიფებისაგან.

„დიდ სჯულისკანონში“, ათანასეს ეპისტოლეში ამმონის მიმართ, საუკეთესოდ არის დახასიათებული ეს სამი დარგი ძველი მწერლობისა. აქ მათ შესაბამისად ეწოდებათ: განკანონებულნი, არაგანკანონებულნი/განუკანონებელნი და დაფარულნი. ამ ეპისტოლის მიხედვით, განკანონებული წიგნები ცხოვრების წყაროს წარმოადგენენ და შეიცავენ მოძღვრებას კეთილად მსახურების შესახებ; არაგანკანონებული წიგნები კი დაწერილია მამათა მიერ საკითხავად მათთვის, რომელთაც სურთ დაემონაფონ კეთილად მსახურების სიტყვას. არც განკანონებული და არც განუკანონებელი წიგნები დაფარულს არაფერს შეიცავენ, დაფარული წიგნები მწვალებელთა მიერაა შექმნილი: ისინი ისე წერენ, თითქოს ძველი ნაწარმოებები იყოს და აცთუნებენ წრფელ ადამიანებს.

რეფორმაციის დროიდან (XVI ს.), დასავლეთის ეკლესიაში ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნების მიმართ სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აღინიშნებოდა. აქ, პროტესტანტები და კათოლიკეები, უპირისპირდე-

ბოდნენ რა ერთმანეთს, არაკანონიკური წიგნების სიას სხვადასხვანაირად ცვლიდნენ. არაკანონიკური წიგნები ხან შეჰქონდათ ბიბლიის კრებულებში, ხან კიდევ არ შეჰქონდათ (XIX საუკუნის დამდეგს არაკანონიკური წიგნების მიმართ პროტესტანტებმა სერიოზული ბრძოლა გააჩაღეს, რამაც იმდენად პრინციპული ხასიათი მიიღო, რომ ანგლოშოტლანდიურმა ბიბლიურმა საზოგადოებამ აშკარა პროტესტი გამოაცხადა არაკანონიკურ წიგნებდართული ბიბლიის ბეჭდვასა და გავრცელებაზე. ამ საზოგადოების თვალსაზრისმა შემდეგში გერმანიაშიც მოიკიდა ფეხი. 1850 წლიდან არაკანონიკური წიგნების წინააღმდეგ ჩნდება მეცნიერული შრომები (ორი ასეთი შრომა საგანგებო პრემიითაც აღნიშნულა).

რაც შეეხება ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნების მიმართ აღმოსავლური ანუ მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულებას, შეხედულებათა ბრძოლასა და ცვლას აქ ადგილი არ ჰქონია. აღმოსავლური ეკლესია თავიდან ბოლომდე იზიარებდა იმ თვალსაზრისს, რომელიც სჯულისკანონით იყო განსაზღვრული და, რომელიც, მართალია, არაკანონიკურ წიგნებს მნიშვნელობით კანონიკურებთან არ ათანაბრებს, მაგრამ არც გამორიცხავს მათ ბიბლიიდან, რადგან დამრიგებლობითი ხასიათის, სულისათვის სასარგებლო ნაწარმოებებად მიიჩნევს.

საქართველოს ეკლესია, როგორც აღმოსავლური ეკლესიის პირმშო და მისი ნაწილი, არაკანონიკური წიგნების შეფასებაშიც ძველთაგანვე ამ უკანასკნელის თვალსაზრისს იზიარებდა.

ძველ ქართულ მწერლობაში დაცულია ცნობები, საიდანაც ჩანს, რომ ქართული ეკლესია და ქართველი საეკლესიო მოღვაწეები კარგად იცნობდნენ ძველი ალექსანდრიის არაკანონიკურ წიგნებს და სათანადოდაც აფასებდნენ მათ. ცნობილი მაგალითია: გიორგი მერჩულე ერთგან გრიგოლის გასაოცარ მეხსიერებაზე მოგვითხრობს და წერს: „განსაკვრებელ იყო ჳსოვნებაჲ მისი. რამეთუ აწ არს ხანცთას ჳელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოჲ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან. ხოლო ახლისა შჯულისა დაბეჭდულნი წიგნნი ზეპირით იცოდნა და მრავალნი წიგნნი ძუელისაცა შჯულისანი. არამედ დაუბეჭდველნი, წმიდათა მოძღუართა თქუმულნი, აღურაცხელნი წარმოითქუმოდეს უწიგნოდ ენითა მისითა უმეტეს ზეშთა ბუნებისა ჩუენისა“ (ძეგლები, I, გვ. 282).

აქ „ახალი“ და „ძველი შჯული“ ახალ და ძველ ალექსანდრიის ხომალს, ხოლო „დაბეჭდულნი“ და „დაუბეჭდველნი წიგნნი“ კანონიკური და არაკანონიკური წიგნების ძველი ქართული სახელწოდებაა.

საინტერესოა, რომ „ცხოვრების“ ავტორი არაკანონიკურ წიგნებს წმიდა მოძღვართა მიერ თქმულად მიიჩნევს და გრიგოლის მიერ სწორედ ამ წიგნების ზეპირად ცოდნაზე ამახვილებს ყურადღებას: „არამედ დაუბეჭდველნი, წმიდათა მოძღუართა თქუმულნი, აღურაცხელნი წარმოითქუმოდეს უწიგნოდ ენითა მისითა“.

X საუკუნის ერთ-ერთ სინურ ხელნაწერში (Sin. 34, გვ. 203) ჩამოთვლილია ძველი და ახალი აღთქმის კანონიკური წიგნები. ძველი აღთქმის კანონიკურ წიგნებს სათაურად აქვთ: „წიგნ(ნ)ი ბეჭდულნი ძუელისა შჯულისანი“ და დალაგებულია ოდნავ შეცვლილი თანამიმდევრობით: დაბადებაჲ, რომელ არს შბათთაჲ (შობათაჲ), გამოსლვათაჲ, ლევიტელთაჲ, რიცხუთაჲ, მეორე შჯული, ისუ ნავესი, მსაჯულთაჲ, რუთისი, მეფეთაჲ ა, მეფეთაჲ ბ, მეფეთაჲ გ, მეფეთაჲ დ, ნეშტთაჲ ა, ნეშტთაჲ ბ, ეზრაჲ ა, ეზრაჲ ბ (=ნეემია), დანიელისი და ესთერმარდოკე, ფსალმონთაჲ, იგავთაჲ და მრავალმასწავლელისა ზირაქის წიგნი, ეკლესიასტე და ქებაჲ ქებათაჲ, ათორმეტთა წინასწარმეტყუელთაჲ, ესაიაჲ, იერემიაჲ, ბაროქ და გოდებანი, ეზეკიელი, იობი.

X ს-ის ხელნაწერში დაცული ძველი აღთქმის წიგნების ეს სია თავისთავად საინტერესოა, ჩვენთვის კი აქ საყურადღებოა ის, რომ მასში არაკანონიკური წიგნებიცაა დასახელებული: ზი-

რაქი (მისდამი განსაკუთრებულ დამოკიდებულე-
ბას უსვამს ხაზს მისი ეპითეტიც: „მრავალმასწავ-
ლელი“) და ბარუქი. ეს ორი წიგნი კანონიკურთა
რიგში სრულიად შეგნებულადაა შეტანილი. აქ
ჩანს გაზიარება იმ ტენდენციისა, რომელიც აღ-
მოსავლურ ეკლესიაში X საუკუნისათვის არსე-
ბობდა და რომლის მიხედვითაც ზირაქის წიგნს
კანონიკურად სცნობდნენ, ხოლო ბარუქი იერემი-
ას წიგნის შემადგენელ ნაწილად მიაჩნდათ.

ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნების მი-
მართ ქართული სასულიერო მწერლობის წარმო-
მადგენელთა დამოკიდებულებების თვალსაზრისით
საინტერესოა აგრეთვე ეფრემ მცირის კომენტარი,
რომელიც ერთვის მის მიერ თარგმნილ იოანე
დამასკელის „გარდამოცემის“ ტექსტს იმ ადგი-
ლას, სადაც ძველი აღთქმის კანონიკური წიგნებია
ჩამოთვლილი. ამ სიის ბოლოს იოანე დამასკელი
ყურადღებას ამახვილებს სოლომონის სიბრძნისა
და ისო ზირაქის წიგნებზე, რომლებიც „სათნო
უკუე არიან და კეთილ“ („სათნო უკუე არიან და
კეთილ“ თარგმანია სიტყვა „ჰანარეტოსისა“, რომ-
ლითაც ბიბლიაში სოლომონის სიბრძნე და ისო
ზირაქი იხსენიება), თუმცა ებრაულ კანონში შე-
ტანილი არ არიან.

ეფრემ მცირე, პირველ რიგში, ეზრა სუთიელის
წიგნის ბედით დაინტერესებულა, რომელსაც, რო-
გორც ჩანს, იგი ქართულ ენაზე იცნობდა, მაგრამ

ბიზანტიურ ლიტერატურაში მის არსებობაზე არაფერი სმენოდა. კომენტარში იგი წერს: „რამეთუ რაჟამს ეზრად პირველი და მეორე გესმნენ, უწყოდი, ვითარმედ მისვე ერთისა ეზრა ზორობაბელის წიგნთა იტყვს პირველად და მეორედ – პირველსა და მეორესა თავსა, ხოლო სხუად იგი ეზრად სუთიელი, რომელ ქართულად არს, არავისგან აღრაცხილ არს „წიგნთა“ თანა და არცა საჩინოდ იპოების ბერძენთა თანა, ვინაჲცა ნუუკუე დაფარულთაგანი რაიმე არს და არა საეკლესიოე. ამისთვისცა მრავალთა წმიდათა ესრე სახედვე აღურიცხვან „წიგნნი“ და არცა ერთი ავსენებს სახელსა მისსა. ხოლო ტობისი დაღაცათუ აქა არა მოვსენებულ არს, არამედ სხუანი მოივსენებენცა და აღჰრიცხუენ არა ოცდაორთა თანა, არამედ სტიქარონ უწოდენ რეცა კიდევანად რიცხვსაგან, ვითარ-იგი სიბრძნეთაცა სოლომონისსა და ზირაქისსა“ (A 24, 126r).

ამ კომენტარში, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს ტერმინები „დაფარულთაგანი“ და „საეკლესიო“. პირველი ნახმარია საკუთრივ აპოკრიფული ანუ ერეტიკული ლიტერატურის აღსანიშნავად, მეორე კი – არაკანონიკური წიგნებისათვის.

ეფრემ მცირის აზრით, ეზრა სუთიელის წიგნი რომ არც „წიგნთა თანა“ (ბიბლიაში) არის აღრიცხული და ბერძნულ ენაზეც არ ჩანს, ამისი მიზეზი, შესაძლოა, ის იყოს, რომ იგი, ალბათ, ერეტიკულ

ნიგნად მიიჩნეოდა („ნუუკუე დაფარულთაგანი რაჲმე არს და არა საეკლესიოჲ“). ამიტომვეა, ალბათ, რომ მრავალი წმიდა მამა აღრიცხავს ძველი აღთქმის წიგნებს და მის სახელს კი არავინ ახსენებსო. ეზრა სუთიელის წიგნი, როგორც ცნობილია, ბერძნულ ენაზე არ არსებობს, ამ კომენტარის მიხედვით ირკვევა მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ეზრა სუთიელის ბერძნული ვერსია ან საერთოდ არ არსებულა, ანდა XI საუკუნეში უკვე დაკარგული ყოფილა.

ძველი აღთქმის კანონის განსაზღვრასთან დაკავშირებით განსხვავებული თვალსაზრისი ჩანს სულხან-საბა ორბელიანთან. თხზულებაში „სამოთხის კარი“ იგი ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს ჩამოთვლის. ძველი აღთქმის კანონში არაკანონიკურ წიგნთაგან აქ დასახელებულია: ტობია, ივდითი, სიბრძნე სოლომონისი, ისო ზირაქი, ბარუქი, მაკაბელთა პირველი ორი წიგნი. არ ჩანს ეზრა ზორობაბელის (I ეზრა) და ეზრა სუთიელის წიგნები, აგრეთვე III მაკაბელთა.

როგორც ცნობილია, კათოლიკურმა ეკლესიამ ტრიდენტის კრების (1672 წ.) დადგენილების მიხედვით ძველი აღთქმის კანონი სწორედ ამგვარად განსაზღვრა, ე. ი. კანონში შეიტანა ზემოთ დასახელებული არაკანონიკური წიგნები (ტობია, ივდითი, სოლომონის სიბრძნე, ზირაქი, ბარუქი, მაკაბელთა I და II წიგნები), ხოლო კანონ-

იდან გამორიცხა და აპოკრიფულად გამოაცხადა ხსენებული ეზრას წიგნები და III მაკაბელთა (მანასეს ლოცვასთან ერთად II ნეშტოადას). თუ გავითვალისწინებთ, რომ სულხან-საბა იმ დროისათვის რომის კათოლიკური ეკლესიისაკენ ყოფილა მიდრეკილი¹, მაშინ შემთხვევითობად აღარ მოგვეჩვენება ის ფაქტი, რომ ძველი აღთქმის კანონის საბასეული განსაზღვრა სავსებით თანხვედება რომის კათოლიკური ეკლესიისას.

კანონიკური და არაკანონიკური წიგნების ქართული თარგმანები უძველესი დროიდან გვერდიგვერდ არსებობენ. როგორც ცნობილია, V-VI სს-ით დათარიღებულ ძველი აღთქმის კანონიკური წიგნების ხანმეტურ პალიმფსესტიებში არაკანონიკური ეზრა ზორობაბელის წიგნის ხანმეტური ფრაგმენტებიცაა.

არაკანონიკური წიგნები სხვადასხვა რიგითა და რაოდენობითაა შეტანილი ბიბლიის თითქმის ყველა ხელნაწერში: ოშკის ბიბლია, მაკაბელთა წიგნების გარდა, ყველა არაკანონიკურ წიგნს შეიცავს. იერუსალიმის ბიბლიაში (Jer. 7/11) არაკანონიკურ წიგნთაგან გვაქვს: ეზრა ზორობაბელის (I ეზრა), ეზრა სუთიელის, ბარუქისა და იერემიას ეპისტოლის ტექსტები; გელათის ბიბლიაში (A 1108) – ბარუქი და იერემიას ეპისტოლე

¹ ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 172.

(ხელნაწერის ფურცლების დაკარგვის გამო დღეისათვის დარჩენილია მხოლოდ ბარუქის წიგნის ნაწილი); A 570, A 646 და H 885 ხელნაწერებში, რომლებიც ბიბლიის ნაკლული ხელნაწერებიდან მომდინარეობენ და ამიტომ თავადაც ნაკლულნი არიან, დაცულია ივდითის, ტობისა და ეზრა ზორობაბელის წიგნები; მცხეთის ბიბლიაში შეტანილია ყველა არაკანონიკური წიგნი მაკაბელთა წიგნებისა და ეზრა სუთიელის წიგნის გარდა, ისო ზირაქისა და სოლომონის სიბრძნის ტექსტები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფრაგმენტების სახით; ბაქარის ბიბლიაში ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნებიდან ყველაა წარმოდგენილი.

არაკანონიკური წიგნების მიმართ აღმოსავლური ეკლესიის დადებითი დამოკიდებულება საეკლესიო პრაქტიკაშიც იჩენდა თავს: კანონიკურ წიგნებთან ერთად არაკანონიკური წიგნებიდან მთელი რიგი ადგილები შეტანილი იყო ლიტურგიკულ კრებულებში, ე. წ. ლექციონარებში, და ღვთისმსახურების დროს ეკლესიებში იკითხებოდა.

ქართულ ენაზე ამგვარი ლიტურგიკული კრებულების ძველი, X-XI სს-ით დათარიღებული, ხელნაწერები გვაქვს, ესენია: კალის (X ს.), ლატალის (X ს.), სინური (X ს.) და პარიზული (XI ს.) ლექციონარები. არაკანონიკური წიგნებიდან (ისო ზირაქი, სოლომონის სიბრძნე, ეზრა სუთიელი)

საკითხავები მეტ-ნაკლებად ყველა მათგანში დასტურდება.

ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნების ქართული თარგმანებიდან ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით ჯერჯერობით გამოცემულია 6 წიგნი: ეზრა ზორობაბელის I წიგნი, ტობი, სოლომონის სიბრძნე, ბარუქი, იერემიას ეპისტოლე და ეზრა სუთიელი.¹

* * *

ქართული ბიბლიის უძველესი რედაქციის წარმომავლობის საკითხს სამ ძირითად წყაროს უკავშირებდნენ: ბერძნულს (მ. ბროსე, აღ. ცაგარელი, აღ. ხახანაშვილი, ფ. ალტერი...), აღმოსავლურს (სირიულ-ებრაულს) (ა. შანიძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ფ. კონიბერი...) და სომხურს (დ. ბაქრაძე, ნ. მარი, რ. ბლეიკი, დ. გუსენი, მოლითორი, მესროპ ტერ-მოვსესიანი...).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველი აღთქმის წიგნების შემცველმა 60-ზე მეტმა ხელნაწერმა და ფრაგმენტმა მოაღწია ჩვენამდე. მათზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ბიბლიის ძველი აღთქმის წიგნების ქართულ ენაზე თარგმნის ისტორიაში

¹ ძველი აღთქმის აპოკრიფული (არაკანონიკური) წიგნების ქართული ვერსიები. წიგნი I, 1970 (ც. ქურციკიძის გამოცემა).

სამი ძირითადი ეტაპი უნდა გამოიყოს: 1. უძველესი, IV-V საუკუნეებისა: ამ დროს შესრულებული თარგმანები თავმოყრილია ქართული ბიბლიის ყველაზე ძველ კრებულში – ოშკის ბიბლიაში. 2. XII ს-ში ბერძნული სეპტუაგინტის მიხედვით ნათარგმნი და ნასწორები ტექსტები (პირველი რვანიგნეული და დიდი და მცირე წინასწარმეტყველები ესაიადან მოკიდებული დანიელის გარდა) დაცულია გელათის ბიბლიის კრებულებსა (A 1108, Q 1152) და A 179 ხელნაწერში, 3. XVIII ს-ის დამდეგს სლავურიდან თარგმნილი 22 წიგნი შესულია ბიბლიის მოსკოვურ გამოცემაში – ბაქარის ბიბლიაში.

ყველა დანარჩენ ხელნაწერში (მათ შორის ყველა ფრაგმენტშიც) წარმოდგენილი ტექსტი ბიბლიისა არის არა ახალი, არამედ საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა მიზნითა და საჭიროებით ჩასწორებული და გადამუშავებული სწორედ ის უძველესი თარგმანი, რომელსაც IV-V საუკუნეებით ვათარილებთ და რომელმაც, საბედნიეროდ (ძირითადად ოშკის ბიბლიის წყალობით), ჩვენამდე ასე თუ ისე სრული სახით მოაღწია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, Jer. 113, A 570 და H 885 ხელნაწერებში ბიბლიის წიგნების მოკლე რედაქციებია წარმოდგენილი. მეფეთა წიგნების მაგალითზე Jer. 113 და A 570 ხელნაწერებში (H 885 ხელნაწერი მეფეთა წიგნებს არ შეიცავს) მოკლე

რედაქციების საკითხი საგანგებოდ შეისწავლა უჩა ცინდელიანმა. გაირკვა, რომ Jer. 113-ის შემოკლებები არ ემთხვევა A 570 ხელნაწერის შემოკლებებს, თუმცა ორივეგან „საქმე გვაქვს ერთგვარად გამარტივებულ ტექსტთან, როგორც ტექსტოლოგიური, ისე ენობრივი თვალსაზრისითაც“. უჩა ცინდელიანის აზრით, ამ შემოკლებათა ავტორები მიზნად ისახავდნენ პოპულარული, ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი ვერსიის შექმნას, საკუთრივ ქართული ვერსიის ჩამოყალიბებას.¹

ძველი აღთქმის წიგნების შესწავლამ, რომელიც ამ ბოლო ათწლეულებში ხელნაწერთა ინსტიტუტსა და მის გარეთ განხორციელდა, დაგვანახა, რომ სწორება ხდებოდა ორი მიმართულებით: 1. ქართულ ნიადაგზე, რათა შეექმნათ „ლაკონიური და სადა, ხალხურ, სასაუბრო ენასთან დაახლოებული ტექსტი“ (უ. ცინდელიანი) და 2. უცხო წყაროებთან შედარება-შემოწმების გზით, რათა თარგმანი პირველწყაროსთან დაეახლოებინათ.

სწორედ იმის გამო, რომ ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანი საუკუნეების მანძილზე უცხო წყაროების მიხედვით ამგვარად უსწორებიან და უცვლიან და რომ ამ ხნის განმავლობაში

¹ უ. ცინდელიანი, ერთი რედაქციული თავისებურების გამო მეფეთა წიგნებში (მოკლე რედაქცია), მრავალთავი, ფილოლ.-ისტ. ძიებანი, X, თბ., 1983, გვ. 67.

იგივე ხდებოდა თვით უცხო წყაროებშიც, ქართული ბიბლიის ამ თარგმანის წარმომავლობა დღემდე ბოლომდე გარკვეული არ იყო. თუმცა მას შემდეგ, რაც დაიწყო მუშაობა ძველი აღთქმის წიგნების ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მომზადებაზე, საკითხის კვლევაში გარკვეული შედეგები აშკარად გვაქვს.

ძველი აღთქმის წიგნების ცალ-ცალკე შესწავლამ ის შედეგი გამოავლინა, რომ თუ მთელი ძველი აღთქმისათვის არა, მისი უდიდესი ნაწილისათვის პირველწყარო ბერძნული უნდა ყოფილიყო. ეს ასეც იყო მოსალოდნელი, ჩვენში ხომ ქრისტიანობა უშუალოდ ბერძნული სამყაროდან შემოვიდა.

ძველი აღთქმის პირველი ხუთწიგნეულის ქართული თარგმანის მკვლევარს, ბ. გიგინეიშვილს, მიაჩნია, რომ „ქართული ძველი აღთქმის წიგნთა დიდი ნაწილის, მათ შორის ხუთწიგნეულის, უძველესი თარგმანი ბერძნულიდან უნდა შესრულებულიყო, ამ ძველმა თარგმანებმა კი სომხურთან, სირიულთან, ებრაულთან და კვლავ ბერძნულთან შედარების მრავალი ეტაპი გაიარეს“.¹

¹ წიგნი ძველისა აღთქმისანი, ნაკვეთი 1. შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ, გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა, „მეცნიერება“, 1989, გვ. 54.

ხუთნიგნეულის მომდევნო სამნიგნეულის (ისო ნავე, მსაჯულნი, რუთი) ძველ თარგმანებსაც სექტუაგინტის ტექსტი დასდებია საფუძვლად, უფრო კონკრეტულად, ბერძნული ვერსიებიდან იგი ტექსტობრივად მეტ სიახლოვეს იჩენს სექტანტის ალექსანდრიულ ვერსიასთან.¹

ბერძნულ პირველწყაროს ვარაუდობს დედნად მეფეთა ნიგნებისათვის ამ ნიგნების მკვლევარი უ. ცინდელიანი:

„ამრიგად, მეფეთა ნიგნების ქართული და ბერძნული პარალელური ტექსტების შედარებამ ცხადყო ქართულში ლუკიანეს რეცენზიისეული (ბერძნული ბიბლიის ერთ-ერთი ვერსია – ც. ქ.) ფენის არსებობა. ნათელი გახდა აგრეთვე ისიც, რომ ქართულ რედაქციებში წარმოდგენილი ლუკიანეს რეცენზიისეული ფენა და მასში დადასტურებული ბერძნიზმების უმეტესი ნაწილი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რაც, თავის მხრივ, ერთხელ კიდევ ამტკიცებს ამ ნაწილში ქართული ტექსტის უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარეობას“.²

¹ ნიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 3, ისო ნავესი, მსაჯულთაჲ, რუთისი, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს ციალა ქურციკიძემ და უჩა ცინდელიანმა, „მეცნიერება“, 1991, გვ. 25.

² უ. ცინდელიანი, მეფეთა პირველი ორი ნიგნის ძველი ქართული რედაქციების მიმართებისათვის ბერძნულ-

ფსალმუნის ძველი თარგმანის პირველწყაროც უსათუოდ ბერძნულია. ამ წიგნის ორი ძველი რედაქციიდან ერთ-ერთი (Ⓣ რედაქცია) მოგვიანებით საფუძვლიანად უსწორებიათ სომხური ფსალმუნის მიხედვით¹. ფსალმუნის ტექსტი, როგორც ვიცით, გიორგი ათონელმა (XI ს.) კვლავ ბერძნული პირველწყაროს მიხედვით ჩაასწორა და შექმნა ფსალმუნის ახალი რედაქცია, რომელიც დღემდე კანონიკურ ტექსტად ითვლება.

ბერძნულ პირველწყაროს უკავშირებენ აგრეთვე იგავთა წიგნის უძველეს ქართულ თარგმანსაც.²

ბერძნულიდან მომდინარეობის აშკარა კვალს ატარებენ ბიბლიის არაკანონიკური წიგნების – ტობის, ივდითისა³ და სოლომონის სიბრძნის ქართული თარგმანები. ტობის წიგნის ბერძნული წყარო ე. წ. C რედაქციის ტექსტია.⁴ ქართულ თარგმანში იგი სრული სახითაა დაცული და ავსებს

თან, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1967, 2, გვ. 255.

¹ ა. ხარანაული, ძველი აღთქმის ხანმეტი ფრაგმენტები და ქართული ბიბლიის ტექსტის ისტორიის საკითხები, სადოქტორო დისერტაცია, 2005.

² ბ. გიგინეიშვილი, სოლომონის იგავთა ქართული რედაქციები, მრავალთავი, II, თბ. 1973, გვ. 56-57.

³ გ. კიკნაძე, ივდითის წიგნის ქართული რედაქციები, მრავალთავი, I, 1971, გვ. 114-115.

⁴ O. Fritzsche, Libri apocryphi Vetezis Testamenti graece, Lipsius, 1871.

იმავე რედაქციის ბერძნულ-სირიული ნაკლული ტექსტების ხარვეზებს¹.

ბარუქის წიგნის ძველი თარგმანი სიტყვასიტყვით მიჰყვება ბერძნული სეპტუაგინტის ტექსტს, თუმცა ჯერჯერობით მისი ბერძნულიდან წარმომავლობა ვერ დგინდება.

საფუძვლიანადაა შესწავლილი დიდი წინასწარმეტყველების – ეზეკიელისა და იერემიას წიგნები, რომლებსაც ყველაზე მეტად ატყვიათ სხვადასხვაენოვანი წყაროების მიხედვით გადამუშავების კვალი. ეზეკიელის წიგნის მკვლევარისა და გამომცემლის, თ. ცქიტიშვილის აზრით, „ეზეკიელის წიგნის ქართული და უცხოენოვანი ვერსიების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს ქართველი მთარგმნელების მიერ აღმოსავლური ან სეპტანტისაგან განსხვავებული ისეთი ბერძნული წყაროების გამოყენებას, რომლებიც განსაკუთრებით ახლოს იდგნენ ებრაულ მასორეთულ ტექსტთან“. ასე რომ, ამ მკვლევარმაც ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული თარგმანის წყაროდ ბერძნული დედნის დასახელებას გვერდი ვერ აუარა.

იერემიას წიგნის მკვლევარი და გამომცემელი კ. დანელია ამ წიგნის ძველი თარგმანის წყაროდ ასევე აღმოსავლურ ტექსტს ვარაუდობს. მისი აზ-

¹ ც. ქურციკიძე, ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნების ქართული ვერსიები, II, 1973, გვ. 126-141.

რით, ბერძნული სეპტანტის ტექსტი არ უნდა იყოს ქართული ძველი თარგმანის წყარო. ამავე დროს მას მიაჩნია, რომ ეს ტექსტი შემდეგში ბერძნული სეპტანტის ტექსტთან მიმართებით საფუძვლიანად უდარებიათ და უსწორებიათ. ვფიქრობთ, ეს წიგნი კიდევ საჭიროებს შემდგომ კვლევას. არ არის გამორიცხული დასკვნის შებრუნება: ამ წიგნის ძველი რედაქცია ბერძნულიდან თარგმნილი აღმოჩნდეს, ხოლო ნასწორები და გადამუშავებული იყოს აღმოსავლური ვერსიების მიხედვით. მით უფრო, რომ როგორც ა. ხარანაულის კვლევის შედეგად ირკვევა, ხანმეტი იერემია (მისი კემბრიჯული და ოქსფორდული ფრაგმენტები) სეპტუაგინტას ჰექსაპლური რედაქციიდან მომდინარეობს (ა. ხარანაული, Or, Crist.).

რაც შეეხება იერემიას გოდების ძველ ქართულ თარგმანს, ამ წიგნის რუსმა მკვლევარმა, მ. ბლაგოვეშჩენსკიმ, იგი ბიბლიის ბერძნული ლუკიანესეული რედაქციიდან მომდინარედ ივარაუდა. ამ ვარაუდს მხარი დაუჭირა ქართული ტექსტის ბერძნულთან მიმართებით საგანგებოდ შესწავლამ.¹

¹ Благовещенский М., Книга Плач, опыт исследования исагогико-экзегетического, Киев. 1899, გვ. 217-219. ც. ქურციკიძე, „გოდებაჲ იერემიასის“ ქართული რედაქციები, „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, III, თბ., 1973, გვ. 36.

ბერძნულიდან თარგმნილი ბიბლიური წიგნების რიცხვს ამ ბოლო დროს შეემატა ეზრა ზორობაბელის კანონიკური წიგნის ძველი ქართული თარგმანი, სადაც დადასტურდა ისეთი ბერძნიზმები¹, რომლებიც ქრისტიანული მწერლობის არც ერთ სხვა თარგმანს არ მოეპოვება.

ძველი აღთქმის ერთადერთი წიგნი, რომელიც სომხურიდანაა თარგმნილი და შემოტანილია ოშკის ბიბლიასა და რედაქციულად მის მიმყოფ დაწარჩენ ხელნაწერებში (Jer. 7/11, A 570, A 646, H 885, A 51), ეზრა ზორობაბელის არაკანონიკური წიგნია. ირკვევა, რომ ამ ერთადერთ შემთხვევასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. მიზეზი დაფიქსირდა მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა ამ ბიბლიური წიგნის ხანმეტი ფრაგმენტები. ხანმეტი ფრაგმენტების ტექსტი, როგორც მისმა პირველმა მკვლევარმა (აღმომჩენია გრ. ფერადე), ბერძოლმა, ივარაუდა და რაც შემდგომმა კვლევამაც დაადასტურა, ბერძნულიდან ყოფილა თარგმნილი. მისი წყარო ე. წ. ლუკიანური რედაქციის ბერძნული ხელნაწერია, გაცილებით უფრო ძველი და ავთენტური, ვიდრე

¹ ც. ქურციკიძე, ეზრას კანონიკური წიგნი (დაუბეჭდავი ნაშრომი).

ჩვენამდე მოღწეული ლუკიანეს რედაქციის ბერძნული ხელნაწერები¹.

ეზრა ზორობაბელის ამ რედაქციის ტექსტის პალიმფსესტში არსებობა, ვფიქრობთ, იმაზე მიანიშნებს, რომ X საუკუნის მიწურულისათვის, როდესაც ოშკის ბიბლია იწერებოდა, სხვა ხანმეტი ტექსტების მსგავსად, ეს ტექსტიც აღარ არსებობდა. ოშკის ბიბლიის რედაქტორ-გადამწერლებს კი ბიბლიის კრებულის სისრულისათვის ამ წიგნის ტექსტი სჭირდებოდათ. უნდა ვიფიქროთ, რომ იმ რეგიონში (ტაოში), სადაც ეს კრებული დგებოდა, ყველაზე ხელმისაწვდომი ქართველი მთარგმნელებისათვის სწორედ სომხური ბიბლია იყო.

მეორე წიგნი, რომლის ქართული თარგმანიც ბერძნულს ნამდვილად არ უკავშირდება, არის ეზრა სუთიელის წიგნი. დღეს ბერძნულ ენაზე ბიბლიის ეს წიგნი არ არსებობს. არ არსებობდა იგი XI საუკუნეშიც. ამას ვიგებთ ეფრემ მცირის შენიშვნიდან, რომელიც ერთვის იოანე დამასკელის „გარდამოცემას“ A 24 ხელნაწერში და რომლის შესახებაც უკვე გვქონდა ზემოთ საუბარი. როგორც ეფრემი წერს, ეს წიგნი „არავისგან აღ-

¹ ა. ხარანაული, ეზრა I-ის ქართული თარგმანის ხანმეტი ტექსტი (ავთენტურობის, წარმომავლობისა და თარგმანის ტექნიკის საკითხები), კრებული, მიძღვნილი გრ. წერეთლის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი, „ლოგოსი“, თბ., 2001, გვ. 296-331.

რაცხილ არს „ნიგნთა თანა“ და „მრავალთა წმი-
დათა ესრე სახედვე (ე. ი. დამასკელის მსგავსად
- ც. ქ.) აღურიცხავნ „ნიგნნი“ და არცა ერთი
აწსენებს სახელსა მისსა“. უნდა ვიფიქროთ, რომ
ეს წიგნი ბერძნულ ენაზე ან საერთოდ არ არსე-
ბობდა, ანდა არ არსებობდა უკვე მაშინ, როდესაც
იგი ქართულ ენაზე ითარგმნა.

ეზრა სუთიელის წიგნის ქართული თარგ-
მანი, როგორც ჯერ კიდევ რ. ბლეიკმა შენიშნა,
გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს ეთიოპურ ტე-
ქსტთან. ეთიოპურთან ტექსტობრივი სიახლო-
ვის გარდა, მასში საკმაოდ აღმოჩნდა სემიტური
სინტაქსური კონსტრუქციები და ლექსიკური
სემიტიზმები. ამიტომ ვფიქრობთ, რომ იგი თარგმ-
ნილი უნდა იყოს ან ეთიოპურიდან, ანდა რომე-
ლიმე სხვა სემიტური ენიდან, რომელიც საერთო
წყარო იქნებოდა ეთიოპური და ქართული თარგ-
მანებისათვის.¹

ქართული ბიბლიის ცალკეული წიგნების წარ-
მომავლობის საკითხს დღეისათვის ბერძნულთან
მიმართებით სკრუპულოზურად იკვლევს ა. ხა-
რანაული. მისმა კვლევამ რამდენიმე წიგნის მი-
მართ გარკვეული შედეგები უკვე მოიტანა.

¹ ც. ქურციკიძე, ძველი აღთქმის აპოკრიფული (არა-
კანონიკური) წიგნების ვერსიები, წიგნი II, თბ., 1973,
გვ. 301.

ბიბლიის ახალი აღთქმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: სახარება-ოთხთავი, საქმე მოციქულთა, კათოლიკე ეპისტოლეები, პავლეს ეპისტოლეები და იოვანეს გამოცხადება ანუ აპოკალიფსი. საქმე მოციქულთა, კათოლიკე და პავლეს ეპისტოლეები ერთად, სამოციქულოდ იწოდება.

ახალი აღთქმის შედგენილობა, ანუ ახალი აღთქმის კანონი დიდი სჯულისკანონის მიხედვით ამგვარადაა განსაზღვრული: „არიან ესენი სახარებანი ოთხნი: მათესი, მარკოზისი, ლუკასი და იოანესი. ამათსა შემდგომად საქმე მოციქულთაჲ და კათოლიკედ წოდებულნი ეპისტოლენი მოციქულთანი შუდნი: იაკობისი ერთი, პეტრესნი ორნი, იოანესნი სამნი და იუდაჲსი ერთი. ამათ თანა პავლე მოციქულისა ეპისტოლენი ათოთხმეტნი, რომელთა განწყობილი არს ესევეითარი: პირველი ჰრომაელთა მიმართ, მერმე კორინთელთა მიმართ ორნი და მისსა შემდგომად გალატელთაჲ და ეგრეთ ეფესელთაჲ, ამისსა შემდგომად ფილიპპელთაჲ და კოლასელთაჲ, და მისსა შემდგომად თესალონიკელთანი ორნი და ებრაელთაჲ შემდგომად მათსა, და მეყსეულად ტიმოთეს მიმართ უკუე ორნი, ხოლო ტიტეს მიმართ ერთი და დასასრულსა ფილიმონის მიმართ ერთი, და კუალად გამოცხადებაი იოვანესი“ (გვ. 471). სულ 27 წიგნია.

როგორც ცნობილია, ახალი აღთქმის კანონი ყოველთვის ასეთი შედგენილობისა არ იყო. აღრეული ქრისტიანობის პერიოდიდან იგი თანდათანობით ყალიბდებოდა, სანამ საბოლოოდ არ დადგინდა ახალი აღთქმის ის კანონი, რომელიც დღეს გვაქვს.

საუკუნეთა მანძილზე განსაკუთრებული დავის საგანი იყო „იოანეს გამოცხადების“ წიგნი („აპოკალიფსი“). ჯერ კიდევ IV საუკუნეში ლაოდიკიის ადგილობრივ კრებაზე (363 წ.), სადაც ქრისტიანული წმიდა წიგნების ოფიციალური სია დადგინდა, ეს წიგნი, როგორც არაკანონიკური, ხმარებიდან იქნა ამოღებული და ახალი აღთქმა 26 წიგნით განისაზღვრა.

მხოლოდ 300 წლის შემდეგ, ტრულის საეკლესიო კრებაზე (692 წ. კონსტანტინეპოლი), „გამოცხადების“ წიგნი ისევ დააბრუნეს ახალი აღთქმის კანონში, თუმცა მის კანონიკურობა-არაკანონიკურობასთან დაკავშირებით კიდევ დიდხანს გრძელდებოდა კამათი.

ქართულ ენაზე ეს წიგნი X საუკუნის, ეფთვიმე ათონელის თარგმანით შემოგვენახა. თვლიან, რომ „გამოცხადების“ უფრო ძველი თარგმანის არარსებობის მიზეზი დიდი ხნის მანძილზე ახალი აღთქმის კანონთან მიმართებით მისი სწორედ ეს გაურკვეველი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო.

ცალკეული სახარებების შექმნამდე ივარაუდება ე. წ. ლოგიების, ანუ აგრაფების არსებობა. ესაა ქრისტეს გამონათქვამები, რომლებსაც იგი წარმოთქვამდა ხალხში ყოფნის დროს და ინერდნენ მოციქულები. ქრისტეს ამ გამონათქვამებს, თითოეულს ცალ-ცალკე, პრეამბულად უძღვის გამოთქმა: „ქრისტემ თქვა“. აღნიშნული გამონათქვამები, ანუ აგრაფები აღმოჩნდა ცალკეც (ეგვიპტეში 1904 წელს) და თომას აპოკრიფულ სახარებაშიც (კოპტური ტექსტი იმავე ეგვიპტიდან 1946 წ.). თვლიან, რომ პირველწყაროებად სახარებებისათვის სწორედ ეს აგრაფები ყოფილა გამოყენებული.

რაც შეეხება ცალკეულ სახარებებს, წმ. მათეს სახარების შესახებ ცნობები დაცული ჰქონია ფრიგის ეპისკოპოსს, პაპიუსს (II საუკუნის პირველი ნახევარი). ამ ცნობების მიხედვით, მათეს სახარების შექმნა არამეულ ენაზე ივარაუდება: მათეს ჩაუნერია ქრისტეს გამონათქვამები არამეულად, შემდეგ კი არამეული ტექსტი თავად მას ან რომელიმე მის მოწაფეს უთარგმნია ბერძნულად.

წმ. მარკოზის სახარება მათეს სახარებაზე უფრო ძველად ითვლება (მიუხედავად იმისა, რომ იგი მათეს თავის მომდევნოა). მარკოზის შესახებაც პირველი ცნობები პაპიუსთან ყოფილა დაცული. მარკოზი (იგივე იოვანე) იყო პეტრე მოციქულის მოწაფე.

ნმ. ლუკას სახარების შესახებ ცნობას გვანუ-
დის ევსევი კესარიელი (III-IV სს.) თავის „საეკლე-
სიო ისტორიაში“. ნმ. ლუკა მახარებელი იყო
პავლე მოციქულის მონაფე, პროფესიით ექიმი,
ბერძენი ანტიოქიიდან. ლუკას ეკუთვნის „საქმე
მოციქულთას“ ავტორობაც.

ამ სამი სახარების ტექსტობრივი და ლიტერ-
ატურულ-იდეური სიახლოვე ყოველთვის იგრძნო-
ბოდა. როდესაც ისინი ტექსტობრივად ერთმანეთს
შეუდარეს და სამივე სახარებიდან ამოიკრიფა
თანმხვედრი ადგილები, აღმოჩნდა, რომ მარ-
კოზის სახარებაში ტექსტი თითქმის აღარ დარჩა.
ამის საფუძველზე დაასკვნეს, რომ მარკოზის სახ-
არება უნდა დასდებოდა საფუძვლად მათესა და
ლუკას სახარებებს. საერთო ადგილები აღმოა-
ჩინეს აგრეთვე მათესა და ლუკას სახარებებშიც.
პირველ სამ სახარებას სინოპტიკური სახარებები
უნოდეს.

ჯერ კიდევ ადრექრისტიანულმა ეკლესიამ მიაქ-
ცია ყურადღება მეოთხე სახარების განსხვავებას
წინა სამი სახარებისაგან. კლიმენტი ალექსანდრი-
ელის (II-III სს.) თქმით, მეოთხე ევანგელისტმა,
იოანემ, როდესაც დაინახა, რომ წინა სახარებებში
მოცემული მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრება და
მისი მხსნელი მსახურება მხოლოდ აღწერით ხას-
იათს ატარებდა, დაწერა IV სახარება, რომელსაც

ძველი განმმარტებლები სულიერ სახარებას უწოდებენ.

„პირველთაგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“ (იოანე, I, 1). ამ სიტყვებით იოანე მახარებელი თავისი სახარების დასაწყისიდანვე გვიცხადებს საღვთო ჭეშმარიტებას იმის შესახებ, რომ სიტყვა (ე. ი. ძე ღმერთი) დაუსაბამოა (პირველთაგან იყო) და რომ იგი ბუნებით ღმერთია („და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“). ამავე თავში მოციქული და მახარებელი მოგვითხრობს სიტყვის განკაცების შესახებ: „და სიტყუაჲ იგი ჴორციელ იქმნა და დაემკვდრა ჩუენ შორის, და ვიხილეთ დიდებაჲ მისი ვითარცა მხოლოდშობილისაჲ მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა“ (1, 14).

იოანე ღვთისმეტყველი უღრმესი სულიერებით გადმოსცემს მაცხოვრის მოღვაწეობის მაცხოვრებელ მნიშვნელობას. იოანე მოგვითხრობს ბევრი ისეთი მოვლენის შესახებ, რომელსაც ჩვენ სინოპტიკურ სახარებებში ვერ ვხვდებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაცხოვრის ვრცელი საუბრები მოციქულებთან, რაშიც იკვეთება ქრისტიანული დოგმატიკის უდიდესი მნიშვნელობა.

ახალი აღთქმაც, თუ არ ჩავთლით „იოვანეს გამოცხადებას“, IV-V სს-ში უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე. გარდა იმისა, რომ „შუშანიკის მარტვილობაში“ მოხსენებულია ევანგელე და

პავლეს ეპისტოლეებიდან ციტატებია მოყვანილი, ამის დასტურია ოთხთავის ხანმეტური თარგმანების არსებობა V-VI საუკუნეების ქართულ პალიმფსესტებში.

ოთხთავის ხანმეტი ტექსტები საკმაოდ მოზრდილი ფრაგმენტების სახით დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A 844 და A 89 ხელნაწერებში. მათი აღმოჩენაც, ისევე როგორც ძველი აღთქმის ხანმეტური ტექსტებისა, ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის.

პირველად მანვე გამოსცა ეს ტექსტები. წლების გასვლის შემდეგ ხანმეტი ტექსტების ამოკითხვასა და შესწავლას ხელი მოჰკიდა ლ. ქაჯაიამ. მან დამატებით წაიკითხა კიდევ 166 გვერდი. ასე რომ, ოთხთავის ხანმეტურმა ტექსტმა აღნიშნული ორი ხელნაწერის პალიმფსესტური ფურცლების შეერთებით 261 ფურცელი შეადგინა. A 844 და A 89 ხელნაწერების ფურცლები ერთი ძველი ხელნაწერის ფრაგმენტები აღმოჩნდა. ლ. ქაჯაიამ მეცნიერულად შეისწავლა ეს ტექსტები და 1984 წელს გამოაქვეყნა კიდევც.

ქართულ ენაზე ძველი ხელნაწერებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ოთხთავის ხელნაწერებია შემონახული. მათ სიმრავლეს ყველა დროში მათი პრაქტიკული საჭიროება განაპირობებდა, ოღონდ ეს ხელნაწერები X ს-ზე ადრინდელი არ არის (თუ არ ჩავთვლით ადიშის

ოთხთავს, რომელიც 897 წელსაა გადაწერილი). V-დან X საუკუნემდე მათ არარსებობასაც იგივე მიზეზი აქვს, რაც ძველი ალექსის კრებულების არარსებობას ჰქონდა. უკვე ითქვა, რომ, V-VIII სს-ის ხანმეტურ-ჰაემეტურად გადაწერილი ხელნაწერები IX-X საუკუნეებისათვის პრაქტიკულად განადგურებული იყო.

როგორც ვიცით, ცნობას ხანმეტი სახარებების არსებობის შესახებ პირველად XI ს-ის ცნობილი საეკლესიო მოღვაწისა და მწერლის, გიორგი ათონელის რედაქციით გამართულ ოთხთავის ანდერძში ვხვდებით, სადაც ნათქვამია: „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილია და კეთილად, ხანმეტნიცა და საბანმიდურნიცა“.¹

საკითხს იმის შესახებ, თუ რა იგულისხმებოდა გიორგი ათონელის მიერ დასახელებულ ხანმეტ სახარებებში, პალიმფსესტებში გამოვლენილმა ხანმეტი ოთხთავის ტექსტებმა მოჰფინა ნათელი,² საბანმიდური სახარებების რაობის საკითხი კი დიდხანს გაურკვეველი იყო. კ. კეკელიძემ საბანმიდური სახარებების შესახებ შემდეგი აზრი გა-

¹ იხ. ხელნაწერი A 1335, 266v.

² ა. შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957, გვ. 296.

მოთქვა: „რაც შეეხება საბანმიდურს, აქ იგულისხმება ის ტექსტი, რომელიც შემუშავდა საბანმიდის ლავრაში, პალესტინაში, IX საუკუნიდან“.¹ კ. კეკელიძემ დაუშვა ვარაუდი საბანმიდური და ჰაემეტური სახარებების იგივეობისა, თუმცა IX ს-ში, როდიდანაც ვარაუდობდა მკვლევარი სახარების საბანმიდური ტექსტის შემუშავებას², ჰაემეტობა ენაში უკვე ზედმეტი იყო და გადავარდნის გზაზე იდგა.

საბანმიდური სახარებების საკითხი საბოლოოდ გაარკვია ლამარა ქაჯაიამ. მან ხანმეტ პალიმფსესტებში დაადასტურა ადიშის სახარების რედაქციის და მისი ნაკლული ნაწილის შემვსები ტექსტები და დაასკვნა, რომ საბანმიდაში, ისევე IV-V სს-ში და ხანმეტურადვე, უნდა შემუშავებულიყო დღეისათვის ადიშური რედაქციის სახელით ცნობილი რედაქცია სახარებისა, და რომ გიორგი მთანმიდელიც საბანმიდურ სახარებებში სწორედ ამ რედაქციას უნდა გულისხმობდეს.³

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელნაწერებმა, რომლებიც ხანმეტობა-ჰაემეტობისაგან გათავი-

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 413.

² იქვე.

³ ლ. ქაჯაია, ადიშის ოთხთავის რედაქციის ახლად გამოვლენილი ხანმეტი ფრაგმენტი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ურნალი, 2003, გვ. 16-17.

სუფლებულ ოთხთავის ტექსტებს შეიცავენ, დიდი რაოდენობით მოაღწიეს ჩვენამდე. მათი უმეტესობა თავისი მაღალმხატვრული გაფორმებით უნიკალურია და მსოფლიო ხელოვნების შედეგს წარმოადგენს. ამგვარი გაფორმება ამ ხელნაწერებისა, პირველ რიგში, ნიშანი უნდა იყოს იმ მოწინება-მოკრძალებისა, რასაც ისტორიულად სახარებათა ტექსტები იწვევდა მართლმორწმუნე ერში.

ადიშის ოთხთავის გარდა, რომელიც დღესაც სვანეთში, მესტიის მუზეუმშია დაცული (ქართული ოთხთავების ისტორიაში განსაკუთრებული ღირებულების მქონე ადიშის ოთხთავი მკვლევართა მუდმივი ყურადღების საგანია. სულ ახლახან, 2003 წელს, შესრულდა მისი მორიგი გამოცემა სათანადო გამოკვლევითურთ, ზ. სარჯველაძის საერთო რედაქციით) ოთხთავის უძველესი თარგმანის შემცველი X ს-ის ხელნაწერებიდან შეიძლება დასახელდეს ოპიზის 913 წლის ხელნაწერი, რომელიც ოპიზიდან ათონზე გადაუტანიათ და ახლაც იქაა დავანებული (Ath. 83); ჯრუჭის I ოთხთავი 936 წლისა (H 1660) გადაწერილია შატბერდის მონასტერში, შემკულია მინიატურებით, მახარებელთა გამოსახულებებით და ქრისტეს მიერ განკურნების სცენებით; ჯრუჭის II ოთხთავი (H 1667) მდიდარია მინიატურებით, რომელთა რიცხვიც 406-ს აღწევს; პარხლის I ხელნაწერი გა-

ბრიელ პატარაის (პარხლის მრავალთავის გადამწერის) გადანერილი; პარხლის ოთხთავი (A 1453), 973 წელს იოანე ბერას (შატბერდის კრებულის გადამწერის) მიერ გადანერილი; ქსნის ოთხთავი, რომელსაც IX საუკუნითაც ათარილებენ (A 509); ურბნისის ოთხთავი X ს-ისა (A 28) და სხვა.

ძველი რედაქციის ოთხთავის ტექსტს შეიცავს აგრეთვე კალიპოსში (შავ მთაზე) გადანერილი ალავერდის ოთხთავი 1054 წლისა (A 484), რომელიც ასევე ძვირფასი მინიატურებითაა შემკული. ხელნაწერი ჩასმულია მოჭედილ ვერცხლის ყდაში. ყდის ზედა ფრთაზე მაცხოვრის ფერწერული გამოსახულებაა, რომლის ორნამენტიანი ნიშბი შემკულია 70 ძვირფასი ქვით – ფირუზებით და მარგალიტებით. ამავე ფრთაზე მცირე ზომის ჩარჩოში ჩასმულია ტიხრული მინანქრის უძველესი (X ს.) ნიმუში.

აკაკი შანიძემ შეისწავლა სამ ხელნაწერში (ადიშის, ჯრუჭისა და პარხალ II-ში) დაცული ტექსტი ოთხთავისა და მათში ორი რედაქცია გამოყო – ადიშისა და ჯრუჭ-პარხლისა (გამოაქვეყნა 1945 წელს). მისი დასკვნით, ორსავე რედაქციაში ოთხთავის ტექსტი უძველესი თარგმანიდან მოდის, თუმცა თავდაპირველი ტექსტი არც ერთ მათგანში არ არის წარმოდგენილი. ორივე რედაქცია თავდაპირველი ტექსტის არაერთგზისი გადა-

მუშავეების პროდუქტს წარმოადგენს.¹ აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხელნაწერი ადიშის რედაქციას გაეთიშა და ჯრუჭ-პარხლისას დაუდგა გვერდით, ჯრუჭ-პარხლის რედაქციასთან დგება ოთხთავის ხანმეტი ფრაგმენტების ძირითადი ტექსტიც.² ძირითად ტექსტს იმიტომ გავუსვით ხაზი, რომ როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ლ. ქაჯაიამ ხანმეტ პალიმფსესტებში ადიშის ოთხთავის ტექსტის ფრაგმენტებიც აღმოაჩინა.

XI საუკუნეში ოთხთავის ძველი რედაქციის ტექსტები ბერძნული ვერსიების მიხედვით გადამუშავდა და შეიქმნა ოთხთავის ახალი რედაქცია, რომელიც გიორგი ათონელის რედაქციის სახელითაა ცნობილი და „რომელმაც საქართველოში მოიპოვა კანონიკური ღირსება და მნიშვნელობა ქართული ვულგატისა“ (კ. კეკელიძე). როგორც ირკვევა, ოთხთავის ძველი ქართული რედაქცია გიორგიმდე ეფთვიმე ათონელს შეუდარებია ბერძნულთან და მოუცია ახალი რედაქცია ოთხთავის ტექსტისა, გიორგის კი ეფთვიმეს დაწყებული საქმე გაუგრძელებია.

¹ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატ-ბერძული ხელნაწერის მიხედვით (897, 936, 973 წწ.), გამოსცა აკაკი შანიძემ, ძველი ქართული ენის ძეგლები, №2, თბ., 1945.

² ლ. ქაჯაია, ხანმეტი ტექსტები, I, ... გვ. 327.

ეფთვიმესა და გიორგის რედაქციების ტექსტების ურთიერთმიმართება შეისწავლა ივ. იმნაიშვილმა, მან ერთმანეთისაგან გამიჯნა ხელნაწერები, რომლებიც ამ ორი მოღვაწის ნამუშავეს შეიცავდა და ამ ხელნაწერების მიხედვით 1979 წ-ს გამოაქვეყნა ორივე რედაქციის ტექსტი ერთმანეთის პარალელურად.¹

ეფთვიმესა და გიორგის ნარედაქციევი ოთხთავის ხელნაწერები (ძირითადად გიორგისი) კიდევ უფრო უნიკალურია მხატვრული თვალსაზრისით, განსაკუთრებით ეს ითქმის XI-XII საუკუნეების ხელნაწერებზე. მართალია, XI ს-დან ქართული ოთხთავების მოხატულობა ორნამენტული მხატვრობისა და საფერწერო ტექნიკით ნაწილობრივ ბიზანტიური წიგნის ხელოვნებას ეზიარა, მაგრამ დასურათების პრინციპების მიხედვით იგი მთლიანად ეროვნული ტრადიციების მატარებელი დარჩა (ელ. მაჭავარიანი).

ეპოქის შესაბამისად საგრძნობლად დიდია რიცხვი XII ს-ში გადანერილი მოხატული ხელნაწერებისა. მათგან გამოირჩევა გელათისა (Q 908) და ჯრუჭის (ჯრუჭი II) ოთხთავები. პირველი ნატიფად შესრულებული სამასამდე მინიატურ-

¹ ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბ., 1979.

რითაა დამშვენებული, მეორე კი – ოთხასამდე მინიატურით. ალავერდის ოთხთავის მსგავსად, საერთაშორისო აღიარება აქვს ჯვარცმისა და ვედრების სცენებით შემკულ ბერთისა (Q 906) და წყაროსთავის (Q 907) ოთხთავებს, რომელთაგან პირველის ვერცხლის ყდა ბეჯა ოპიზარმა მოჭედა, ხოლო მეორისა – ბეშქენ ოპიზარმა. ვანის ოთხთავი (A 1335) თამარ მეფისადმი მიძღვნილი ხელნაწერია, კონსტანტინეპოლში საგანგებოდ მისთვის გადანიჭილი და ბერძენი მხატვრის (მიქაელ კორესელის) მიერ ასევე საგანგებოდ მოხატული. ძვირფასი მინიატურებითაა შემკული აგრეთვე აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში) გადანიჭილი ბიჭვინთისა და მოქვის ოთხთავები. პირველის ბუდე მოჭედილია სოლომონ შერვაშიძისა და მისი შვილის, არზაყანის მიერ (H 2120), მეორე კი იმითაა აღსანიშნავი, რომ ერთვის ხელნაწერის დამკვეთის, მთავარეპისკოპოს დანიელის განსაკუთრებით ლამაზი მინიატურა – დანიელი მუხლმოდრეკილი დგას ღმრთისმშობლის გამოსახულების წინ (Q 902).

სახარებათა ისტორია იცნობს აპოკრიფულ სახარებებსაც. არსებობს იაკობისა და იუდასი, პეტრესა და ბართლომეს სახარებები და სხვა. ქართულ ენაზე თარგმნილია იაკობის პირველ-სახარება და სახარება, რომელიც ნიკოდიმოსის სახარების სახელითაა ცნობილი.

იაკობის პირველსახარების, რომლის ხანმეტური ტექსტის ფრაგმენტებიც ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული კოლექციის №2 ხელნაწერში აღმოჩნდა, სრული ტექსტი X საუკუნის ორ ხელნაწერში დასტურდება – Sin 6-სა და Ath. 11-ში, ქართულ თარგმანში ამ თხზულების სათაურია: „თქუმული ღმრთისმშობლის შობისათჳს.“ თხზულება გვიამბობს ღვთისმშობლის შობის, აღზრდის, იოსებზე მისი დანიშვნის, სულიწმიდის მეშვეობით იესო ქრისტეს ჩასახვისა და შობის ისტორიას, აგრეთვე, ჰეროდესა და მოგვებზე, იოანე ნათლისმცემლის შობისა და მისი მამის – ზაქარიას მკვლელობის შესახებ ღვთის ტაძარში.¹

ნიკოდიმოსის სახარება, რომლის სრული სათაურია „დიდსა პარასკევსა, საკითხავი ვნებისათჳს და სიკუდილისა, მოსაჯსენებელი მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, თქუმული ანანია ებრაელისაჲ, დასისაგან შჯულისმეცნიერისა“, მართალია, აპოკრიფად ითვლებოდა, მაგრამ კანონიკურ სახარებათა რიგში ათავსებდნენ და ეკლესიაში დიდ (ნითელ) პარასკევს კითხულობდნენ. ეს სახარება ნაწილია ცნობილი „პილატეს აქტები-

¹ ეს თხზულება გამოცემულია Sin. 6 ხელნაწერის მიხედვით: ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, დასაბუქდად მოამზადა ივ. ჯავახიშვილის სახ. კაბინეტმა, თბ. 1947, გვ. 184-193.

სა". მასში მოთხრობილია პილატეს მიერ იესოს გასამართლების ამბავი, მისი ჯვარცმა, აღდგომა და ის, თუ როგორ ირწმუნეს ებრაელმა მღვდელმოდღვრებმა, ანამ და კაიაფამ, ქრისტიე, როგორც ძე ღმრთისა. ქართულ ენაზე ამ აპოკრიფის ბერძნულიდან მომდინარე უძველესი თარგმანი არსებობს. დღეისათვის დაცულია ორ ათეულამდე ხელნაწერში, ყველაზე ძველია XI ს-ის (1031 წ.) Sin. 78 ხელნაწერი.¹

ქართულ ენაზე არსებულა თომა მოციქულის სახარებაც, რომელიც საუკუნეების მანძილზე საერთოდ დაკარგულად ითვლებოდა. 1945 წელს ნაგჰამადში (ეგვიპტე) აღმოჩნდა ამ თხზულების კოპტური ტექსტი. ქართულ ენაზე მისი არსებობის ფაქტს ადასტურებს ეფთვიმე ათონელი: მის მიერ ათონიდან თევდორე ხუცესთან გამოგზავნილ წერილში ქართულ ენაზე თარგმნილ სხვა აპოკრიფულ თხზულებებთან ერთად თომას სახარებაცაა დასახელებული.²

¹ ნიკოდიმოსის აპოკრიფული წიგნის ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ციალა ქურციკიძემ, თბ., 1985.

² წიგნი, რომელი მამამან ეფთიმე მიუნერა მთანმიდით თეოდორეს ხუცესსა, მრეკალსა, პასუხად: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, თბ., 1986, გვ, 121. ეფთვიმეს წერილში რომ ნამდვილად ქართულად თარგმნილი აპოკრიფული თხ-

ახალი აღთქმის წიგნებიდან ცალკე გამოყოფენ სამოციქულოს თავისი სამი ნაწილით: საქმე მოციქულთა, პავლეს ეპისტოლეები და კათოლიკე ეპისტოლეები. ძველი აღთქმისა და ოთხთავის მსგავსად, სამოციქულოც IV-V სს-ში უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე („შუშანიკის მარტვილობის“ პერსონაჟები კარგად იცნობენ პავლეს ეპისტოლეებს და ციტატებსაც იმონებენ ამ წიგნიდან, გარდა ამისა, VII ს-ის პალიმფსესტში არსებობს ორი ეპისტოლის ხანმეტი ფრაგმენტი – ჰრომ. 15, 25-28; გალატ. 6, 14-18), თუმცა X ს-მდე ვერც ამ ტექსტის შემცველი ხელნაწერების არსებობას ვადასტურებთ. მათი არარსებობის მიზეზი აქაც ისაა, რაც ძველი აღთქმისა და ოთხთავის ტექსტების შემთხვევაში გვექონდა – V-VIII სს-ის ხანმეტურ-ჰაემეტურად გადაწერილი ტექსტები IX-X სს-ში უკვე განადგურებული იყო.

„საქმე მოციქულთა“ გაბმული შინაარსის ტექსტია, მასში მოთხრობილია მოციქულთა საქმიანო-

ზულებებია დასახელებული და, მაშასადამე, თომას სახარებაც აქ ქართულად თარგმნილი ივარაუდება, ამის შესახებ იხ.: ე. ჭელიძე, აპოკრიფულ წიგნთა ეფეთიმე ათონელისეული ინდექსი; საღვთისმეტყველო კრებული, 1, 1991, გვ. 214-229.

ბის შესახებ ქრისტეს აღდგომისა და ამალლების შემდეგ – თუ როგორ ავრცელებდნენ ისინი ხალხში ქრისტეს მოძღვრებას და როგორ კურნავდნენ სხვადასხვა სენით დაავადებულ ავადმყოფებს ქრისტეს სახელით.

„პავლენი“ („პავლეს ეპისტოლეები“) 14 ეპისტოლისაგან შედგება, ამათგან ათი მიმართულია ადამიანთა საზოგადოებებისადმი, ოთხი კი ცალკე პიროვნებებისადმი. ესენია: 1. ჰრომაელთა მიმართ; 2. I კორინთელთა მიმართ; 3. II კორინთელთა მიმართ; 4. გალატელთა მიმართ; 5. ეფესელთა მიმართ; 6. ფილიპელთა მიმართ; 7. კოლასელთა მიმართ; 8. I თესალონიკელთა მიმართ; 9. II თესალონიკელთა მიმართ; 10. ებრაელთა მიმართ; 11. I ტიმოთეს მიმართ; 12. II ტიმოთეს მიმართ; 13. ტიტეს მიმართ; 14. ფილემონის მიმართ.

„კათოლიკე ეპისტოლეთა“ სახელით ცნობილია მოციქულთა შვიდი ეპისტოლე: იაკობისი – 1, პეტრესი – 2, იოანესი – 3 და იუდასი – 1.

პავლეს ეპისტოლეები ზნეობრივ-დამრიგებლობითი ხასიათის წერილებია, რაც შეეხება კათოლიკე ეპისტოლეებს, ისინი საყოველთაო და საზოგადოა და მონოდებულია ყველა საკრებულოსა და ყველა მორწმუნისათვის („კათოლიკე“ – საზოგადო, საყოველთაო). ზნეობრივ-დამრიგებლობითი შინაარსით ეს ეპისტოლეები გვერდით უდგას პავლეს ეპისტოლეებს.

X და მისი მომდევნო საუკუნეების ხელნაწერები, რომლებიც სამოციქულოს ტექსტს შეიცავენ, საკმაოდ მრავლადაა შემონახული (თუმცა მათი რიცხვი ოთხთავის ხელნაწერებთან შედარებით მცირეა და მხატვრული თვალსაზრისითაც არ გამოირჩევიან). სამოციქულოს სამივე ნაწილის კრიტიკული ტექსტი X-XI და XIII სს-ის ყველა მნიშვნელოვანი ხელნაწერის მიხედვით გამოცემულია: საქმე მოციქულთა – 1950 წ., ილ. აბულაძე; კათოლიკე ეპისტოლენი – 1956 წ., ქ. ლორთქიფანიძე; პავლენი – 1974 წ., ქ. ძონენიძე, კ.დანელია.

გამოცემებში გამოყენებულია სამოციქულოს ისეთი მნიშვნელოვანი ხელნაწერები, როგორებიცაა S 407 (X ს.), S 1138 (X ს.), S 1398 (X ს.), Sin. 58/31 (გარიტის კატ.), №16 (ცაგარლის კატ.) (977 წ.). ამ ბოლო ხელნაწერის ნაწილი, 13 ფურცელი, აღმოჩნდა სინას მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში (Sin. Geo №8)¹ Sin. 39 (974 წ.),

¹ სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა შეადგინეს ზაზა ალექსიძემ, მიხეილ ქავთარიამ, მზექალა შანიძემ და ლილი ხევსურიანმა, საბერძნეთის კულტურის სამინისტრო, სინური კვლევის ფონდი, ათენი, 2005.

Ath. 78 (XI ს.), ქუთ. № 176 (XI ს.), A 584 (1083 წ.), A 34 (XIII ს.), A 137 (XIV ს.), A 677 (XI-XII სს).

სამოციქულოს სამივე ნაწილს ტექსტის განვითარების თვალსაზრისით ერთნაირი ისტორია აქვს. სამივე ნაწილში გამოიყოფა 4 რედაქცია, ორი უძველესი (ერთმანეთისაგან მომდინარე) და ორიც ახალი – XI საუკუნისა, გიორგი ათონელისა და ეფრემ მცირის ნარედაქციევი, რომლებსაც ძველი რედაქციის ტექსტები ბერძნული წყაროების მიხედვით გადაუმუშავებიათ.

სამოციქულოს ეფრემისეული რედაქცია, როგორც ილ. აბულაძე წერს, დიდად არ განსხვავდება გიორგისეულისაგან: „ასეთი მცირე განსხვავების გამო შეიძლებოდა D-ს ტექსტი (ეფრემის რედაქცია) განსაკუთრებულ რედაქციად არც კი მიგვეჩნია, რომ არ გვექონოდა ეფრემის ანდერძი, სადაც ზედმიწევნით არის აღნიშნული მის მიერ განეული მუშაობა, იქითკენ მიმართული, რომ სამოციქულოს ქართული თარგმანი მაქსიმალურად დაახლოვებოდა ბერძნულ დედანს“.

გიორგი მთაწმიდელსა და ეფრემ მცირეს, მათ მიერ „სამოციქულოზე“ ჩატარებულ სამუშაოსთან დაკავშირებით, მეტად საინტერესო ცნობები აქვთ დატოვებული.

გიორგი მთაწმიდელი: „გლახაკმან გიორგი ხუცესმონაზონმან ვთარგმანე მთაწმიდას სული-

ერისა მოძღურისა ჩემისა გიორგის¹ ბრძანებითა და მადლითა, რომელი მყოფ არს მთასა საკვრველსა".²

ეფრემ მცირე: „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რომელნი მიემთხვნეთ წმიდასა ამას წიგნსა, ვითარმედ ვითარცა-იგი „დავითისა“ თარგმანთა შინა, ეგრეთვე ყოველსა ამას „სამოციქულოსა“ წიგნსა შინა ძალისაებრი მონფობაჲ დამიცავს დიდისა მის მოძღურისა და ყოველთა ეკლესიათა ჩუენთა მნათობისა გიორგი მთაწმიდელისა, საუკუნოდ მოვსენებულისაჲ; მე, უნდოსა მტუერსა წმიდათა ფერჯთა მასთასა, მათივე თარგმნილი „საქმე მოციქულთაჲ“, „კათოლიკენი“ და „ეპისტოლენი“ წინა-მესხნიან და სამოციქულოჲ სიტყუაჲ მიერ დამინერია, რაჲთა არა მეორედ თარგმნილად შეირაცხოს „წიგნი სამოციქულოჲ“.³

რაც შეეხება „სამოციქულოს“ უძველესი რედაქციის მომდინარეობის საკითხს, კ. დანელიამ საგანგებოდ შეისწავლა „პავლენი“ და იგი ბერძნულიდან მომდინარე თარგმანად მიიჩნია, რომელშიც სომხური და სირიული თარგმანები საკონტროლოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

¹ იგულისხმება გიორგი მთაწმიდელის მოძღვარი, გიორგი დაყუდებული (ძეგლები, II, გვ. 101).

² ი. აბულაძე, საქმე მოციქულთა... გვ. 13-14.

³ იქვე.

სავსებით ლოგიკური იქნება, ამავე დასკვნას სამოციქულოს დანარჩენი ორი ნაწილის მიმართაც თუ გავავრცელებთ.¹

„აპოკალიფსი“ ანუ „იოვანეს გამოცხადება“, როგორც ვიცით, ახალი აღთქმის ბოლო, 27-ე წიგნია. მასში გადმოცემულია მისტიკური წინასწარმეტყველება სამყაროს დასასრულის შესახებ. იგი ერთადერთია ბიბლიის წიგნთაგან, რომლის ქართულად მთარგმნელიც ცნობილია. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ესაა ეფთვიმე ათონელი. ეფთვიმეს ეს თხზულება უთარგმნია ულუმბოს მთაზე თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის დასაწყისში, 975-977 წლებში; როგორც H 1346 ხელნაწერის ანდერძიდან ჩანს, მანამდე, ვიდრე ბარდა სკლიაროსის ცნობილი აჯანყება მოხდებოდა (978 წ.).

„გამოცხადების“ ტექსტი ქართულ ენაზე X საუკუნის 3 ხელნაწერშია დაცული: ესენია: H 1346, A 397 და Sin. 85. სამსავე ხელნაწერში ტექსტს ერთვის ანდრია კესარია-კაბადოკიელის თარგმანება.²

¹ ხანმეტ პალიმფსესტში (A 737 ხელნაწერი) ივანე ჯავახიშვილმა აღმოაჩინა ტექსტის ფრაგმენტები, რომლებიც შემდგომ აპოკრიფულ „საქმე მოციქულთად“ იწოდა („საქმენი მოციქულთანი“, აპოკრიფი, ივანე ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 361-366). ეს ტექსტი ჯერჯერობით არც ერთ ენაზე არ იძებნება.

² ტექსტი თარგმანებითურთ გამოსცა ივანე იმნაიშვილმა: „იოვანეს გამოცხადება“ და მისი თარგმანე-

დადგენილია ბერძნულ ენაზე „გამოცხადების“ შექმნის თარიღიც – 67 წლის ივნისსა და 68 წლის აპრილს შორის. ადრექრისტიანულ ეპოქაში შექმნილი ეს თხზულება ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი აზროვნების სიმარტივითა და სისადავით ხასიათდება.¹

ბიბლიის, ამ საღვთო წიგნის, ყოველი ახალი თარგმანის შესრულება უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა. ეს ყველა ქართველმა იცის. ამიტომაც, რომ ეკლესია მუდმივად ზრუნავს მისი ახალი თარგმანების შექმნაზე. ბიბლიის ქართულ თარგმანებს შორის ღირსეული ადგილი დაიკავა გასული საუკუნის 80-იან წლებში ებრაული, ბერძნული და ლათინური ენებიდან შესრულებულმა თარგმანმა, რომელიც 1989 წელს დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. ამჟამად მზადდება კიდევ ერთი ახალი თარგმანი.

ბა, ძველი ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, ა. შანიძის რედაქციით. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7. 1961, გვ. 3-205.

¹ თხზულების ანალიზი და მისი დათარიღება ეკუთვნის ფრიდრიხ ენგელსს, იხ. Ф. Энгельс, Книга Откровения: К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 16, часть I, стр. 159; მისივე: ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, თბ., 1939.

ქართული ბიბლიის მნიშვნელოვანი გამოცემები

1. ბაქარის ბიბლია, 1743, მოსკოვი (შეიცავს ძველი და ახალი აღთქმის ყველა წიგნს).
2. ათონის ბიბლიის რამდენიმე წიგნის ა. შანიძისეული გამოცემა: წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. 1. დაბადებისაჲ, გამოსლვათაჲ, თბ., 1947. ტ. I, ნაკვ. 2, ლევიტელთაჲ, მსაჯულთაჲ, რუთისი, იობისი, ესაიასი, თბ., 1948.
3. წინასწარმეტყველთა წიგნების გამოცემა ათონისა (Ath. I) და იერუსალიმის (Jer. 7/11) ბიბლიათა მიხედვით (Patrologia Orientalis, t. XXIX, 1961; t. XXX, 1963, Paris (რ. ბლეიკის, მ. ბრიერის და მერსიეს გამოცემა).
4. თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმკრნელ მიტროპოლიტისაჲ (კ. კეკელიძის გამოცემა), ქართული ძეგლები, ტფ.-ის უნივ.-ის გამოცემა, I, საეკლესიო მწერლობა №1, ტფ.-ის სტამბა „სახალხო საქმე“, 1920.
5. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მზექალა შანიძემ. I, ტექსტი, თბ., 1960.

6. ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები (X-XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ციალა ქურციკიძემ, წიგნი I, თბ., 1970.
7. ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თინათინ ცქიტიშვილმა, თბ., 1976.
8. მცხეთური ხელნაწერი (A 51) ხუთ წიგნად, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1981, 1982, 1983, 1985, 1986 წწ.
9. წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვ. I, შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ, თბ., 1989.
10. წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვ. 2. ლევიტელთაჲ, რიცხუთაჲ, მეორისა სჯულისაჲ, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ილია აბულაძემ, ბაქარ გიგინეიშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ და ციალა ქურციკიძემ, თბ., 1990.
11. წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვ. 3. ისო ნავესი, მსაჯულთაჲ, რუთისი, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს ციალა ქურციკიძემ და უჩა ცინდელიანმა, თბ., 1991.
12. იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა,

ლექსიკონი და გამოკვლევა დაურთო კორნელი დანელიამ, თბ., 1992.

13. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989.
14. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.), გამოსცა აკაკი შანიძემ, თბ., 1945.
15. საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1950.
16. კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსცა ქ. ლორთქიფანიძემ, თბ., 1956.
17. ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, თბ., 1963.
18. პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძონენიძემ და კორნელი დანელიამ, თბ., 1974.
19. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბ., 1979.
20. ხანმეტი ტექსტები, ნაკვ. I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ, თბ., 1984.
21. ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მაჩხანელმა, ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ, ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით, თბ., 2003.